

# კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელ ეროვნულ აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14<sup>e</sup>)

№ 3

აგვისტო 1937

№ 3

### შ ი ნ ა ა რ ს ი :

ჰაიდარ ბამმატ — აზიის პაქტი  
 ვ. ახმეტელი — ჩვენი იმედები  
 ზ. ავალიშვილი — კავკასიის ერები და ირრედენტისმი  
 შ. ამირეჯიბი — ილია ჭავჭავაძე  
 შ. ბაქრაძე — საქართველო

ი. ჯავახიშვილი — შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა  
 ზ. ავალიშვილი — თეიმურაზ პირველი და პისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“.  
 \*\* პრესის მიმოხილვა  
 \*\* ქართული

აგვისტო, 1937.

**აზიის პაქტი** ჩვენი მღელვარე დღეების მომავალი ისტორიკოსი უთუოდ უყოყმანოდ აღიარებს, რომ დასავლეთ აზიის ერების ისტორიაში 1937 წლის 8 ივლისი, ერთი უშესანიშნავესი თარიღთაგანია.

ამ დღეს თეირანის საადაბადის სასახლეში ავღანისტანმა, ერაყმა, ერანმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობისა და მეგობრობის პაქტს.

საქმე იმდენად ამ ხელშეკრულობის შინაარსი არ არის, რამდენად ერან - თურანის და

არაბ - აჟამის ეს აქამდე შეუძლო დამეგობრების ფსიხოლოგიური მნიშვნელობა.

თურანის და ერანის ეპიური ბრძოლა უხსოვარ დროიდგან მოდის. საუკუნეთა სიგრძეზედ იგი გაყრუებულია იარაღის ქლერით, გავარვარებულია ცეცხლის ალით და ჩათხრილი მკვდართა საფლავებით. იგივე შეიქმნა საფუძველი ისლამის დიდი დაყოფისა ორად, ამან წარმართა სულიერი წყობა, კულტურული ყადრი და ცხოვრების ასავალ - დასავალ მრავალ და მრავალ თაობათა.

დრო მიდიოდა. დედამიწა ზურგს იცვლიდა. რამდენი მონარქია დაიბადა და მოკვდა.

ათადამ - ბაბადამ დაწყებულ ერან - თურანის ბრძოლას ბოლო არ უჩანდა.

ამ საბედისწერო და გაუთავებელმა შუღლმა სხანთქა სულიერი რაობა, სამხედრო ძალა და საარაკო სიმდიდრე აღმოსავლეთისა.

რამდენჯერ იყო რომ ამ ბრძოლის ასპარეზად თვით კავკასიაც შეიქმნა. ეს ბრძოლა ჩვენ ქალაქებს საფუძვლამდე სთხრიდა, სპობდა ჩვენი ცივილიზაციის საამაყო ძეგლებს. ჩვენ სისხლს ზღვასავით ღვრიდა.

ამ საუკუნოვან კიდილში ერთმანეთს ჩამკვდარი ერები ველარ ამჩნევდნენ, თუ როგორ აღმოცენდნენ და გამძლავრდნენ, მათ ცხვირ წინ, — ჩრდილოეთით და სამხრეთით — ახალი და ძლიერი იმპერიები, ერან - თურანისათვის ერთნაირად მტრული.

ამ უგუნურ შუღლით დაბრმავებული ეს ხალხები ველარ ხედავდნენ იმ საბედისწერო საფრთხეს, რომელიც ერთნაირად ჩამოწვა მათზედ.

ოსმანების ოდესღაც მძლავრმა და მრისხანე იმპერიამ, რომლის წინაშე ევროპა ერთხელ კანკალებდა, მდიდარი პროვინციები და მთელი სახელმწიფონი დაჰკარგა და იმავ ევროპისთვის „ავადმყოფი კაცი“ შეიქნა, ხოლო ხოსროვ ანუშირვანის და ნადირ - შაჰის ბრწყინვალე იმპერია უკანასკნელ ყაჯარების ნახევრად - ვასალურ სპარსეთად გადაქცა.

მაგრამ ეს თითქოს გაუთავებელი ისტორიული დავა, უცხო ძალებისაგან ხელოვნურად გაღვივებული, მაინც უნდა ჩამქრალიყო...

ასე ჩამოდგა ისტორიის კვალში ევროპის დიდი ომისა და დიდი რუსული არეულობის შემზარავი ხანა, რომელმაც ძველი აღმოსავლეთის სამყარო ძირიან - ფესვიანად შეარყია.

ევროპა, ომის გახანგრძლივებულ ლიკვი-

დაციით გართული და შეუმჩნევლად ახალი ომის მზადებაში თავ - შეყოფილი, ჯერ კიდევ სწორე ანგარიშს არ აძლევს თავის თავს, თუ რა ღრმა და ფართო ფსიხოლოგიური რევოლუცია მოხდა აზიაში ამ ოცი წლის მანძილზედ.

აზიის პაქტის დადება, სწორედ ერთი იმ მოვლენათაგანია, რომელიც, ცოტა ისტორიულ კულტურას არა მოკლებულ ადამიანს. შესაძლებლობას აძლევს, თვალით გაზომოს ის საარაკო გზა, რომელიც 1905 წლიდან აზიის ერებმა განვლეს.

საადაბადის ხელშეკრულობა, ისე, როგორც აზიის კონტინენტზედ იაპონიის ფენის დაბიჯება, იტალიის იმპერიის გაჩენა დასავლეთ ევროპაში, ეგვიპტის ემანსიპაცია და არაბსახელმწიფოთა პოლიტიკური წონისა და მნიშვნელობის სწრაფი ზრდა — ანთებული კანდელია, ისტორიის ახალი გზების ამსახველი, რომელიც მტკიცედ და მაგრად დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ მიდის, ხმელთა - შუაზღვის აუზიდან წყნარ ოკეანესაკენ, გამოხრულ პატარა ევროპიულ ნახევარ - კუნძულიდგან — თვალ გადაუვლებ აზიის ყამირ სივრცეებისაკენ.

\*\*\*

გვსურს ჩვენ კავკასიელებს თუ არა გვსურს, ჩვენ წინა აზიის ერებს ვეკუთვნით. ვეკუთვნით გეოგრაფიულად, ისტორიულად და კულტურულად, რა გინდა უსიამოვნო არ იყოს ეს გარემოება, თავის პრიმიტიული „დასავლეთობით“ ცოტა სასაცილო ჩვენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებისათვის.

საჭირო არ არის კაცი წინასწარმეტყველი იყოს — საკმაოა მხოლოდ ყურადღებით ადევნებდეს თვალს ჩვენ წინაშე წარმოებულ ევოლუციას — რათა წარმოიდგინოს, რომ კავკასიის ხანმოკლე, სულ ასი წლით ჩამოცილებას თავის აზიურ სტიხიისაგან ბოლო

ელემა. ჩვენი ერები თავის ბუნებრივ ისტორიულ კალაპოტს უბრუნდებიან.

არ არსებობს მიზეზი, რომ ამის გამო დავლონდეთ. ჩვენთან მოახლოვებული აღმოსავლეთი — მომაკვდინებელ ობსკურანტიზმის გაშეშებული აღმოსავლეთი კი არ არის, არამედ ახალგაზრდა და, სასიცოცხლო ძალებით სავსე და ევროპიულ ცივილიზაციის მიღწევებისთვის დახარბებული, მეჯიის იმპერატორის, ქამალ ათათურქის და შაჰ ფეჰლევის აღმოსავლეთი...

მაგრამ რა ვითარიც არ უნდა იყოს ჩვენი პირადი გრძნობანი: სიმპატიები და უგულობა — ჩვენი წილი ნაყარია. ჩვენი ერები უკვე ჩარეულნი არიან აღმოსავლეთში დაწყებულ სტიქიურ პროცესში და არ არსებობს ძალა, რომელიც ხელს შეუშლიდეს ამ პროცესს...

შინაური მშენებლობის რიგში, ჩვენს წინაშე მალე იმგვარივე ამოცანები წამოიჭრებიან, როგორც ამოცანებიც უკვე დასახელებულმა დიდმა რეფორმატორებმა ასე ბრწყინვალედ გადასჭრეს თავისთვის.

გარეშე დამოკიდებულებათა რიგში, ჩვენი სახელმწიფოებრივობის უზრუნველსაყოფად, ჩვენი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და შინაურ წარმატებისათვის პირობების შესაქმნელად, ჩვენი პირველი ცდა უნდა იყოს, რომ მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს ჩვენი სამხრეთის და სამხრეთ - აღმოსავლეთის მეზობლებთან მეგობრობას.

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის — კავკასიელებისათვის, ხელ - შეკრულობა, რომელიც ეს არის თეირანში დაიდო, სრულიად განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან პრინციპები, რომლებიც მას საფუძვლად დაედო და რაიცა ამ ოთხი სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულების ხარტიად უნდა იქცეს, ის ნიადაგია, რომელზეც, ერთ მშვე-

ნიერ დღეს, ჩვენი საკუთარი დამოკიდებულება უნდა აშენდეს ამ სახელმწიფოებისადმი.

\*\*

არსებობენ ტრაქტატები და შეთანხმებანი, რომლებიც უფრო შორს მიდიან და მოზავე მხარეებს უფრო მეტად აკავშირებენ, მაგრამ ჩვენს წარმოდგენას იმის მეასედსაც არ ეუბნებიან, რასაც მ ივლისის პაკტი გვეუბნება.

ამ პაკტის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ის არის, რომ იგი დადებულია ისეთ კონტრ - აგენტების შორის, რომელთაც მთელი მსოფლიო ჩამომავლობით შეურიგებელ მტრებად სთვლიდა, რომ ამ პაკტმა გადაქრა საუკუნოვანი დავა, რომ მათ შორის განზრახული თანაშრომლობის სქემა, ბნელ წარსულთან სრულ გაწყვეტას მოწმობს, რომ იგი დაფუძნებულია ურთიერთ სუვერენიტეტის სრულ პატივისცემაზე და ნებაყოფლობით აღიარებულ საზღვრების უცვლელობაზე, რომელთა მცირე შეშლაც კი მთელ შენობას სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა....

საადაბადის ხელშეკრულება ათათურქის პოლიტიკის უმაღლეს კონსეკრაციას შეიცავს, რომელმაც აღორძინებულ ოსმალეთს თავისი ეროვნული საზღვრები შემოუხაზა.

ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრების ეს თვით შემოზღუდვა მხოლოდ ანატოლიის ნაპირებით, ეს გადაჭრილი უარი ოტტომანთა იმპერიის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე, რომელმაც თურქული რასის კულტურული განვითარება ას წლობით დასწია უკან და რამაც შეუქმნა მას ეკონომიური ჩამორჩენილობა და სამხედრო დეკადანსი — დასავლეთ აზიის ახალი პოლიტიკური ხანის ქვაკუთხედია, რომელიც იწყება, საადაბადის სასახლეში დადებულ, მ ივლისის დიდი აქტით.

ერაყი, რომელიც სულ რაღაცა ოცი წლის წინ ოსმალეთის პროვინცია იყო, დღეს მის

სრულუფლებოვან კონტრ-აგენტად გამოდის და ოსმალეთის მიერ ყოველივე ცილის გარეშე პოლიტიკურად და ეროვნულად დამოუკიდებლად ცნობილი, მზათ არის გულწრფელად გაუწოდოს ოსმალეთს მორალური და ნივთიერი დახმარების ხელი, რომელზედაც არაბულმა ნაციონალიზმმა, ოტტომანთა იმპერიას, დიდი ომის დროს, ასე საბედისწეროთ უარი უთხრა.

ერანი — ოსმალეთის გაუთავებელი მტერი — ხმა მალლა მოწმობს თავის მეგობრობას ახალ ოსმალეთთან, სწამს ქვეყნის ამ კუთხეში ნებაყოფლობით აღიარებული ტერიტორიალური სტატუს - ქვო და თავს ივალდებულებს, რომ ოსმალეთთან, ერაცთან და ავღანი-სტანთან ერთად დაიცვას.

აი ამბები და მოვლენანი, რომლებსაც ურიგო არ იქნება ჩაუფიქრდნენ ცრუსტორიულ პარალელების ის მოყვარულნი ჩვენს ემიგრაციაში, რომლებიც მუდამ იმ შიშის კომმარს განიცდიან, რომ ოსმალეთი აუცილებლად კავკასიას უნდა დაეცეს.

სალი პოლიტიკური აზრისა და ლოიალობის სულ მცირე იჯრაა საჭირო, რათა მათ აღიარონ, რომ საადაბადის ხელშეკრულება ლოიკურად ატარებს თავის წიაღში კავკასიის მომავალ საზღვრების გარანტიასაც... თუ კავკასიელებმა უნარი გამოიჩინეს და პოლიტიკური ეპოხის ამოცანათა დონეზედ დარჩნენ.

ჰაიდარ ბამმატ.


## ჩვენი იმედი

ერთ დროს ჩინგიზ ყაენი მრისხანედ ღაღადებდა: „მსოფლიოს ერთი მართველი, ერთი ბატონი უნდა ჰყავდესო“!!! ცელქი სურვილი თითქოს შეუსრულდა კიდევ. მან დიდი ქვეყნები და მრავალი ერები დაიპყრო. შორეულ აღმოსავლეთიდან დაძრულნი მისი ურდოები ეკროპაში ვენის კარებს მოადგნენ და დასავლეთ სახელმწიფოების ერებს წალეკას უქადიდნენ. გზა და გზა ყველაფერი ცეცხლსა და მახვილს მისცეს.

ჩვენი მშვენიერი კავკასია ხომ ხიდია აზიასა და ევროპის შორის, ყელია ამ ორი მატერიკისა. და ეს აზიის ველური, გაათრეებული ხალხები ჩვენს ზურგზე გადად - გადმოდიოდნენ, კასპიის ზღვიდან — შავზღვამდე ქვა ქვაზე აღარ დასტოვეს. კარგი არც სხვებს დაუყრიათ ჩვენთვის. ვინც არა გნებავთ — ან ზედ გვბატონდებოდნენ, ან ფეხ - ქვეშ გვთელავდნენ და მიწასთან გვასწორებდნენ.

ბოლო დროს ხომ ჩრდილოეთის ვეშაპი

შემოგვეხვია, უშველებელი ხახა დაულია და ჩვენ გადაყლაპას ლამობს. რუსეთმა დროთა მსვლელობის გამო — მონღოლთა აუარებელი სისხლი შეისვა, მათი ზნე - ჩვეულება შეითვისა. იგი თავის უშველებელ საწოლში ველარ ტეულა და ქვეყნის დაპყრობის სურვილი „ლეიტმოტავათ“ გაუხდია. ტურფა კავკასია სათარეშოთ გაიხადა, ცეცხლითა და მახვილით თავზედ გვახვევს ისეთ ურთიერთობას, რომელიც სრულიად უარყოფელია კავკასიელი ხალხების სულიერ კულტურის, ჩვენი ზნე - ჩვეულებისა და ადათებისა. დოსტოევსკი — ტურგენევის გმირების „იდეალები“ ჩვენი ხალხების ყოფა - ცხოვრების საძირკვლად ეყრება; ამ სახით „მშენებლობა“ რუს ბოლშევიკების ჟარგონით ამ ქვეყნად სამოთხის დამყარებად იწოდება. შორს ჩვენგან ასეთი სანეტარო ქვეყნის დამყარება! დეე, იქ იხაროს და ისაზრდოვოს, საიდანაც ეს სათავე იწყება! ღმერთმა მისცეთ ძალი და ღონე — იქ აშენდ-



ნენ, საცა ამ შენობის ქვაკუთხედი დაუდვიათ!  
 მაგრამ რის აშენება, რის აღორძინება! რის  
 ფლავი — რის ბოზბაში! ხალხი კალიასავით  
 შემოგვესია, მიაქვთ მოსკოვში ჩვენი ქვეყნის  
 აუარებელი ქონება, იქ უყრიან თავს ჩვენი  
 ქვეყნის საუნჯეს ჯარის შესაიარაღებლად,  
 ქვეყნისა და ჩვენი ერების დასამონებლად. კა-  
 ვკასია უგემრიელესი ლუკმაა და ამ ლუკმის  
 ხელიდან გაშვება არ უნდათ.

მახსენდება სულ მოკლე წარსულიდან —  
 გერმანიის დედა ქალაქ ბერლინში მომხდარი  
 სოციალისტური კონგრესის ამბავი. დასახე-  
 ლებულ კონგრესზე ბოლშევიკური რუსეთი-  
 დან დაესწრენ კაცობრიობის ბელზებელი, შა-  
 ითან რადეკი და ბ. მდივანი. ყრილობაზე სხვა  
 მრავალ საკითხებთან ერთად წამოიჭრა დაპ-  
 ყრობილ საქართველოს საკითხიც. სოციალის-  
 ტთა ეგრედ წოდებული მემარჯვენე ფრთა  
 რუსის კომუნისტებს უსაყვედურებდა იმპერი-  
 ალისტური მიზნით საქართველოს დაპყრობას.  
 შარლატანმა რადეკმა უტიფრად, წარბშეუხ-  
 რელად განაცხადა: რუსეთისათვის საჭირო  
 იყო — ბაქოს ნავთის გამო — საქართველოს  
 ხელში ჩაგდება, ბაქოს ნავთის მილი საქართ-  
 ველოს ტერიტორიაზე გადის და ეს ტერიტო-  
 რია აუცილებლად საჭირო იყო საბჭოთა კავ-  
 შირის ფარგლებში ყოფილიყო. ერთმა და-  
 შაწრეთაგანმა წააძახა: „მაშ თქვენ ნავთის  
 კომუნიზმის დაარსება გსურვებიათ“-ო. თალ-  
 მუდის აზროვნებაში გამოქნილმა რადეკმა  
 მოკლედ უპასუხა: უშველებელ რუსეთს აბა,  
 მაშ, თქვენი ტემპერამენტით ხომ ვერ გავათ-  
 ბობთო! ეს ის რადეკი გახლავთ, რომელიც  
 ამ ცოტა ხნის წინეთ ძლივს გადაურჩა სტა-  
 ლინის მრისხანებას. ბუდუ მდივანი უკვე გაი-  
 სტუმრა საიქიოს. მაგრამ ჩვენ რა გვენადვლე-  
 ბა, ჩვენ რა დარდი გვაქვს! — ერთი თხა და  
 მეორე მგელი! ისეც უქნიათ — რომ ერთი  
 მეორე კბილით უგლეჯიათ! ასეთია ყველა  
 ქვეყნის ტირანთა სვე - ბედი. ბოლოს, როცა

მსხვერპლი შემოელევით — ერთმანეთი უნდა  
 ამოჭამონ! ერთმანეთი ჰგლიჯონ!

სოციალისტური კონგრესის ამბავი მხო-  
 ლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ მკითხველს  
 დავანახოთ — თუ რა უტიფრობით ამჟღავ-  
 ნებენ თავიანთ მაცდურ სურვილ - მისწრაფე-  
 ბას თავიანთსავე წრეში. რუსეთისათვის კავ-  
 კასიის უძვირფასესი სიმდიდრე დიდი განძია  
 და ამ საუნჯეს მომაკვდავისავით ჩაჰბლაუქე-  
 ბიან. მაგრამ ჩვენ მაინც იმედს არ ვიტებთ, გუ-  
 ლი — გულის ადგილას გვიძევს. შილერის უკ-  
 ვდავი სიტყვები გვანუგეშებენ. იგი ამბობს:  
 უცხო დამპყრობელები მოდიან, იპყრობენ  
 ქვეყანას, ბატონობენ; მერე ისევ მიდიან, სა-  
 ადანაც მოსულან, მხოლოდ მკვიდრი მცხოვ-  
 რებნი კი ისევ რჩებიანო. მრავალი უცხო ხა-  
 ლხი მოსულა ჩვენში, მრავალ უცხო ხალხს  
 უბატონია ჩვენზე, მაგრამ კავკასიის ერები  
 რომლებიც ისტორიის უხსოვარ დროიდან ი-  
 ბინადრობდნენ, დარჩენილან, შეუნარჩუნები-  
 ათ თავიანთი ეროვნული არსება, რასიული  
 სახე.

ჩვენს ხალხში თქმულებათ დარჩენილა,  
 ქრისტე - ღმერთმა თავისი კალთა უხვეებისა  
 ამ ჩვენს ქვეყანაში დაიბერტყაო. ამას იმიტომ  
 ამბობენ, რომ კავკასია სხვა ქვეყნებზე უფრო  
 ძლიდარი, მისი გული უფრო მეტი საუნჯით  
 არის გატენილი. ღვთით არც ჩვენ ვართ ულო-  
 ნონი; მკლავ - ძარღვად კარგნი ვართ. ჩვენი  
 წარსულში გმირობა შარავანდედით არის შე-  
 ქოსილი, თავზე ვაჟკაცობის ნიმბუსი გვავლია.  
 სომხეთ, საქართველო, მითელებს თავიანთ  
 ეროვნული თავდაცვის უნარი ისტორიაში  
 იქროს ასოებით აღუბეჭდიათ. შორს ნუ წა-  
 ველთ, სანიმუშაოდ გავიხსენოთ თუნდაც  
 ჭთიელები. ეს ერთი მუქა ხალხი რა თავგან-  
 შირული გმირობით ებრძოდა — რამდენიმე  
 ათეული წელიწადი — რუსეთის უამრავ და  
 ურიცხვ მხედრობას. მათმა უმაგალითო ბრძო-

ლამ მთელი ევროპა განცვიფრებაში მოიყვანა.

ეს მდიდარი და პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს გამრჯელი და ოფლის მღვრელი ხალხი, რატომ თავის თავს თითონ არ უნდა ეკუთვნოდეს?! იმიტომ, რომ მამაპაპური მამულის სიყვარული, სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლა, ეროვნული შეგნება რუსეთის ზედგავლენით სრულიად მოღუნებული იყო. რაც რუსეთს დააკლდა ჩვენ ხალხს სოციალდემოკრატებმა გადაუთავეს. თითქოს ცდილობდნენ ის ობოლი, ნაცარში გახვეული ეროვნული გრძნობის ნაღვერდული მღვდარე წყლით ჩაეჭროთ. სჯობია ცოდვა გამოტყეხილი იყოს!

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული — თითქმის უკანასკნელ დრომდის, კავკასიის ერებში საერთო ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა და სურვილები, რომლებიც ერთად, ხალისიანად, შეუპოვრად მიზიდული ყოფილიყვნენ საყოველთაო კავკასიის ბედნიერებისათვის, აღარ არსებობდა. ის შემკრებელობითი, დიდებული, ერთიანი აზრი, რომელსაც კავკასიის თვითთელი ხალხის გულში ეცოცხლა, თითქოს სამუდამოდ დარღვეული და გონებიდან ამოგდებული იყო. აი, ასეთ ეროვნულ დაძაბუნებას ორმოცი წლის წინეთ ილია ჭავჭავაძემ თავის ბასრიანი და მწვავე სატირის ხმალი მოუქნია. იგი სწერდა: ... „მამული — სამშობლო ... ეს დიდებული სიტყვა თვითთელის ჩვენგანის გათავთავეებულ უძრავ ქონებას ნიშნავს, და არა მთელი ხალხის სამშობლოს. მამულის ხსენებაზე ეხლანდელ ქონდრის კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგენია. მამულისათვის ბრძოლა, ეხლა სამართალში შეტანილ ღერბიან ქაღალდზე სადაო საჩივარია. მამულისათვის ძლევა-მოსილება მოგებული საქმის განაჩენის პირია; მამულის პატივი ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი, მამულიშვილობა მხვნელობა და მთესველობა“ და სხვა...

ჩვენმა ბრძენმა ილიამ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების დაძაბუნებას ასეთი განკიცხვა გამოუტანა. ჩვენ ვფიქრობთ, კავკასიის დანარჩენ ერებშიაც ასეთი ეროვნული მოღუნება არსებობდა. ასეთი ლუარსაბ თათქარიძისებური ყურზე ძილი იყო, ის მთავარი სნეულება, რომლის გამო ჩვენ ეროვნულ სხეულზე ანტიეროვნულმა მოძრაობამ გულუხვი საკვები იპოვნა; ეს მთავარი მიზეზი იყო, რომლის გამო კავკასიის ხალხებმა ვერ შესძლეს 1918 წ. მოპოებული ეროვნული თავისუფლების დაცვა და მტერს ვერაგულად ხელში ჩაუვარდნენ.

ვინ არ მოგვსევია, რა ურიცხვი მტერი არ დაგვსხმია თავზე; ბევრი მოგვიგერებია, ვისაც ვერ ვიგერებდით — ლაყე კვერცხივით ზედ შევსკდომივართ. „ქართლის ცხოვრება“ ბევრ მაგალითებს მოგვითხრობს: მტერთან ბრძოლაში მთელი ხალხი გაიჟლიტა, ამოსწყდა, — მერე კვლავ დაიწყო მოშენება - მომრავლებაო.

კავკასიის ხალხების ახლო წარსულმა კი სულ საწინააღმდეგო დაგვანახვა. 1918 წ. მოპოებულ ეროვნულ თავისუფლების დაცვისათვის არც ქართველებს, არც სომხებს, არც ადერბეიჯანელებს და არც მთიელებს იმის მეთაღიცი არ გაუღიათ — რის გაღებაც შეეძლოთ. კიდევ იმიტომ, რომ გვაკლდა ის ცეცხლი, ის ეროვნული შეგნება, რომელიც ეგრედ საჭიროა თავისუფლების დაცვისათვის.

ჩვენი მთავარი ხსნა, ჩვენი მთავარი იმედი, ჩვენშივეა ჩამარხული; ჩვენშივე უნდა შეიქმნას და შემუშავდეს ერის ფაქიზი სიყვარული. ილია ჭავჭავაძემ სამშობლოს სიყვარული კაკლის ხეს შეადარა. იგი ამბობს: „მამულის ანუ სამშობლოს სიყვარული ემგზავსება ნაზ კაკლის ხეს, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშენებს სხვა დამჩაგვრელ ხეებს, რომელიც დიდ ხანს იზრდება. ეროვნულ პატრიოტულ გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა უნდა,

მოვლა და ყურის გდება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი შტოები, მისი ტოტებისავით განიერი და ნაყოფიერი“.

ასე უნდა — კავკასიის თვითიული ერის სამშობლოს სიყვარულის გრძნობა — შეგნებას მოვლა — პატრონობა. „ქვეყანა ზევიდან არ აშენებულა, ქვეყნის ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდან დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა“. კავკასიის თვითიულ ერში უნდა გაცხოველდეს ეროვნული შეგნება, სამშობლოსადმი სიყვარული. და ამ თვითიული

ერის შეგნებაზე უნდა დაემყნოს მთლიანი კავკასიის მამულიშვილური გრძნობა; მხოლოდ ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს, გაიზარდოს, და შემუშავდეს კავკასიის პატრიოტის ტიპი. მაშინ შეგვეძლება მხოლოდ კავკასიისაგან შვეიცარიის შექმნა, რომლის სიმაგრეზე ყოველი გარეშე მტერი ცხვირ — პირს დაიღწის. ამაშია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მთავარი იმედი. სხვა გარეშე იმედები მხოლოდ ამის გამოძახილია.

ვლ. ახმეტელი


## კავკასიის ერი და ირრედენტისმი

სახელდახელო ლექსიკონში სწერია: ირრედენტისმი არის „დოქტრინა, რომლის თანახმად იტალია უნდა შეიცავდეს ყველა, მის ეხლანდელ საზღვრების გარეშე მდებარე მიწებს, მასთან ენითა და ზნეჩვეულებით დაკავშირებულს, მაგრამ პოლიტიკურის მიზნებით ჩამოშორებულს“. იტალიამ, დიდმა სახელმწიფომ, ეს თავისი პოლიტიკური დოქტრინა უმეტესად კიდევაც განახორციელა, მაგრამ არა სავსებით. მალტა, კორსიკა, ნიცცა ისევ მის საზღვრების გარეშე არიან და „გაპოუსყიდველნი“ რჩებიან. ბედი ჰქონდა და ვანსაკუთრებით ჰქონდა ბედი, სხვა ხელის შემწყობ გარემოებათა გამო, არცა თუ ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფოთა ირრედენტისმს, თუმცა დამოუკიდებელთა და მტკიცედ მოწყობილთა, როგორც რუმინული და სერბული ირრედენტისმია... თვით ეს სიტყვაც იტალიის მიერ მარჯვეთ ხმარებული, დიდი ხანია ხმარებაში შემოვიდა, არსებითად კი ირრედენტისმის პოლიტიკა ევროპაში ეროვნული საკითხის ერთ მამოძრავებელ ძალად აქცა და უკანასკნელი მიზეზი არ ყოფილა

იმებისა, სახელდობრ, რომელთაც 1914 და შემდეგ წლებში ჰქონდა ადგილი.

ცნობილია აგრეთვე ირრედენტისმის მაკალითები, რომელთაც, სავალალოდ, ისეთი ბედი არა ჰქონიათ, დიდი უბედურება იყო ეგრედ — წოდებულ რუსულ სომხეთისათვის, დამონებულ ქვეყნისათვის და მის აგრეთვე დამონებულ მეზობლებისთვის, სომხური ირრედენტისმი: ამას მოჰყვა მეზობელ „ენითა და ზნეჩვეულებით დაკავშირებულ ქვეყნის“ სრული გაჩანაგება, ანუ ოსმალოს სომხეთისა. დღესაც სომხური ირრედენტისმი მიმართულია იქით, რომ საქართველოში და აზერბეიჯანში შესული ზოგიერთი ადგილები სომხეთს შეუერთდეს. მაგრამ აქ უკვე შინაურ კავკასიურ დამოკიდებულებათა ფარგალში გადავდივართ.

საზოგადოთ, ირრედენტისმი ფუფუნებაა, არა ყველა ერისათვის ხელმისაწვდომი და ჰიდრეკილება, არა ყოველ გარემოებაში თავზეხელმოსასმელი. არსებითად ყოველვის არ გამართლებულა და არცა თუ ყოველთვის ცხოვრების აუცილებლობის შესატყვისი ყო-



ვილა. ყველამ იცის და ყველა გრძნობს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანულ ან უნგარულ ირრედენტისმს.

მაგრამ მართლა უბედურება იქნებოდა, რომ საცა სახელმწიფო სამზღვარი ეთნიურს არ ეთანხმება — ირრედენტისში წამოჭრილიყო. სინამდვილეში ასეთი რამ არც არსებობს. მე - 17 - ე საუკუნეში საფრანგეთის მონარქიამ ფლანდრის კარგა მოზრდილი ნაქერი მიითალა; მაგრამ ბელგიელების ან თუნდა ფლამანების სურვილის შესაღებ, რომ საფრანგეთს ლილი ან მთელი ჩრდილო დეპარტამენტი წარუღონ, როგორღაც არაფერი ისმის, და ასეთი მაგალითი ერთი არ არის.

ახლო წარსულმა დაგვახვია, რომ ირრედენტისმის ცეცხლთან თამაში, კავკასიის სამხრეთ სამ სამზღვარზედ, მეტად სახიფათო საქმეა. თუმცა, უნდა ითქვას რომ სომხებისათვის ეს — 1914 წელს — მარტო ერთი თამაში არ იყო. ადგილი ჰქონდა ბუნებრივ და ფრიად ნამდვილ სურვილს ორად გაყოფილი ერი გაეერთიანებინათ. იმ დროის ვითარება ამ პოლიტიკას ასე თუ ისე ამართლებდა. სხვა ირრედენტისმის მსგავსი რაიმე მოძრაობა მაშინ არ არსებობდა. თუ კი რუსეთი ომში გაიმარჯვებდა, მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალეთი დაჰკარგავდა და რუსეთი შეიძენდა ისტორიულ საქართველოს უკანასკნელ ნაწილებს, ოსმალეთის მფლობელობაში ჩარჩენილებს. ამითი დასრულდებოდა ის, რასაც დასაწყისი 1828 წელს ჰქონდა — ახალქალაქის და ახალციხის დაპყრობას და შემდეგ 1878 წელს — ბათუმის, ართვინის, არდაგანის და ოლთისის შემოერთებას. რა თქმა უნდა, არ ითქმის, რომ საქართველო აქ არაფერ შუაში იყო. მაგრამ მაინც ეს იქნებოდა უპირატესად რუსული იმპერიალიზმის საქმე და არა ქართული ირრედენტისმისა.

ამ უამად კავკასიურ ერებს აღარ შეუძლიან საქმეს იმავე თველით უცქირონ, როგორც

1914 წელს, როცა იქ რუსეთის და ოტომანთა იმპერიები ერთმანეთს დაეტაკა ან როგორც 1918 წ., როცა გერმანელებმა ტფილისი მოიარეს და ოსმალებმა — ბაქო, ან, დასასრულ, 1920 წ., როცა გადაწყვეტილი იყო ოსმალეთის დანაწილება.

შეუძლებელია აგრეთვე, რომ სინამდვილეს ისინი მარტო ისტორიულ, ხშირად ცალმხრივ მოგონებათა შუქზედ სჭვრეტდნენ, ან ეროვნულ სანტიმენტალობის სათვალეთი. უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკურად და ეროვნულად მომწიფებული ეს ერები ანგარიშს უწევენ ახლო აღმოსავლეთში ახლად შექმნილ პოლიტიკურ წონასწორობის პირობებს. ოსმალეთისა და ირანის ეროვნული ცხოვრების ერთსა და იმავე დროს აღორძინების და ძირითადი განახლების ამბავი დიდი და სრულიად ახალი ფაქტია. უმთავრესად ამ თვალსაზრისით უნდა იყოს შეფასებული აქაც, კავკასიის სამხრეთ სამზღვრების მნიშვნელობა — თეორეტიულად შესაძლო ირრედენტისმების ეს სფერო, მართალი რომ ითქვას, მისი მცირე ხაზებში ასახვა, დიდი ხანია რაც თვით კავკასიურ ერებზედ იყო დამოკიდებული. სხვანაირია მისი ორი ნაწილის გამძლეობის ხარისხიც.

კავკასიის საზღვარი სპარსეთთან — მდინარე არაქსზედ და შემდეგ ასტარიდგან კასპის ზღვაზედ — 1828 წლიდგან უძრავი დარჩა, ესე იგი ას წელზედ მეტს. პირიქით, საზღვარი ოსმალეთთან, მარქაფად რომ ითქვას, არარატსა და შავ ზღვას შუა, ასეთ მუდმივობას ვერ დაიკვეხნა. იმ სახით, როგორც ის 1878 წელს ბერლინის კონგრესზედ იყო დადგენილი, როცა რუსეთმა ყარაღაღანი და ბათუმი ჩაიბარა, იგი არსებობდა ორმოცი წელიწადი, ე. ი. ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებამდე, თუ არ ვიანგარიშებთ მის დარღვევას 1914 წლის ომის დროს და მის პომდევნო წლებში. ხოლო ბრესტ - ლიტოვსკის აქტით, 1918 წლის 3 მარტს ხელმო-



წერილით აღდგენილ იყო პრინციპულად, ძველი სამზღვარი, რომელიც ძალაში 1878 წლამდის იყო.

საკითხი გართულდა ბრესტ - ლიტოვსკის ხელშეკრულობის შემდეგ მაშინვე, იურიდიულადაც და ფაქტიურადაც, იმ ვარჯიშების გამო, რომ 1918 წლის გაზაფხულზედ, ოსმალეთისა და სპარსეთის სამზღვარზედ ჯერ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკა შეიქმნა, შემდეგ დამოუკიდებელი საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი.

ის იყო ოსმალეთმა, რუსეთის რევოლუციის წყალობით, 1918 წელს რუსეთის მიერ 1878 წელს წაღებული პროვინციები დაიბრუნა, რომ მაშინვე უნდა ხელახლად დაეკარგა, რადგან იმავე 1918 წლის ბოლოში გათავდა ომი დაწყებული 1914 წელს და გათავდა გერმანიის და მის მოკავშირეთა მარცხით, რომლებშიც ოსმალეთიც ითვლებოდა.

ოტტომანთა იმპერიასთან ანგარიშების გასწორების დროს, გამარჯვებული — ინგლისი, საფრანგეთი და იტალია, სხვათა შორის, დამოუკიდებელ სომხეთის შექმნაზედაც ფიქრობდნენ და საამისო სომეხ - ოსმალთა გამიჯვნის ხერხიც იყო ნაჩვენები. ამავე დროს ისინი ემზადებოდნენ ზოგიერთ საერთო კავკასიურ საკითხის გადაჭრასაც, მაგალითად ბათუმისას. სამზღვარის გაყვანა სომხეთსა და საქართველოს შორის, კერძოდ ყარსის ოლქის ფარგალში, თვით ამ რესპუბლიკების საქმე უნდა ყოფილიყო. ოსმალეთსა და კავკასიას შორის სომხეთი ერთგვარი ბარიერი უნდა ყოფილიყო და სხვა.

ამ მიზნებს უნდა წახმარებოდა სევრის ხელშეკრულება 1920 წლისა, მაგრამ ეს ხელშეკრულება ცარიელი სიტყვა გამოდგა. მას აუშენდრდა ხალხური ოსმალეთი, ამავე დროს კი, მართალია სხვა საწყისებით, თავისი მდგომარეობა აღადგინა კავკასიაში საბჭოთა რუ-

სეთმაც. 1920 — 1921 წელს, როგორც ცნობილია, კავკასიის რესპუბლიკებმა ბიჭობა ვერ გამოიჩინეს და კავკასიის სამხრეთი ხაზი, უკეთ კი, საქართველოს და სომხეთის სამზღვარი, ოსმალეთმა და საბჭოთა რუსეთმა როგორც იყო თავისით დაადგინეს, 1921 წლის 14 მარტის ხელშეკრულობით ყარსში.

ამ ხელშეკრულობის ძალით ოსმალეთმა 1878 წ. დაკარგული და 1918 წელს ბრესტ - ლიტოვსკის ხელშეკრულობით უკან დაბრუნებული ტერიტორიები, ერთხელ კიდევ მიიღეს. ეს იყო იგივე ყარსის, არდაგანის და ბათუმის სანჯაყები, მაგრამ ამ ხელად კი უბათუმოდ და ბათუმის ოლქის ჩრდილო ნაწილის გარეშე. სამაგიეროდ ოსმალეთის ნაღდი მოგება იყო ის, რომ ერევნის გუბერნიის ადგილებიდან მან წაიღო სურმალის მაზრა, ქალაქ იგდირით და უფრო მეტად განთქმულ არარატიურ.

1878 წლის სამზღვარი რუსეთისა და ოტტომანთა იმპერიების სამზღვარი იყო. 1921 წლის სამზღვარი კი რესპუბლიკანური ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის სამზღვარია. ეს უკანასკნელი სამზღვარი გამოიჭრა, რა თქმა უნდა, არა მარტო ოსმალეთისა და კავკასიის ძალების წონასწორობის მიხედვით — უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: სომხეთი და საქართველო, არამედ და უმთავრესად ოტტომანთა იმპერიისა და რუსეთის 1918 წელში და საბჭოთა კავშირისა 1921 წელს. ამ წონასწორობის მოქმედებით განისაზღვრება კავკასიის სამხრეთ სამზღვრის გამძლეობა დღესაც, ანუ ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში.

კავკასიის სამზღვრების ასეთი არსებითი შესწორება ოსმალეთის სასარგებლოდ 1921 წელს, შედარებით ბერლინის ტრაქტატის დადგენილებებთან 1878 წ., შედეგი იყო რუსეთის რევოლუციის, სამხრეთ - კავკასიის რესპუბლიკათა დაცემისა და ოსმალეთ - საბჭო-

ების მოულოდნელ გაერთიანებულ ბრძოლი-  
სა 1918 წელს გამარჯვებულ სახელმწიფოთა  
წინააღმდეგ. კავკასიის საერთაშორისოდ მო-  
წყობისა და ოსმალეთ - კავკასიის, ანუ უმ-  
თავრესად ოსმალეთ - სომხეთის გამიჯვნის  
საკითხში გამარჯვებულები დამარცხებულ-  
ნი აღმოჩნდნენ: სევრის ხელშეკრულება 1920  
წლისა ჯერ კიდევ ყველას ახსოვს და უთ-  
ვალსაჩინოესი შედეგი ამ დამარცხებისა კა-  
ვკასიისათვის 1921 წლის ყარსის ხელშეკრუ-  
ლობა იყო.

კავკასიური ერები თანაბრად არ მოპყრო-  
ბიან ისეთ მნიშვნელოვან და სხვებისთვის კი  
ისეთ უმნიშვნელო ფაქტს, როგორც იყო  
ოსმალეთის მიერ ყარსის, არდაგანის, ართვი-  
ნის და სხვა ადგილების დაჭერა; კავკასიურ  
ერთა გაერთიანების საკითხის სიძნელე სწო-  
რედ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ ძი-  
რითად პოლიტიკურ საკითხებში მათ შორის  
გრძნობათა საფუძვლიანი სხვადასხვაობა არ-  
სებობს. მთიელებსა და აზრბეიჯანელთა შო-  
რის აღნიშნულ ამბავს არავითარი წყენა არ  
გამოუწვევია და პირიქით უნდა ვიფიქროთ.  
სომხებისათვის კი, უეჭველია, იგი იმ სასი-  
ცოცხლო ფართობის დაკარგვას ნიშნავდა,  
როგორც იტყვიან გერმანელები, რომლის იმე-  
დი სომხებს გადაუმეტებლად უნდა ჰქონო-  
დათ. ისე დიდი არ არის, მაგრამ მაინც სა-  
გრძნობია ქართველთათვის ბათუმის ოლქის  
თვალსაჩინო ნაწილის დაკარგვა. ეს ზარალი  
დიდი ხანია დათვლილია, მაგრამ არა ეს უნ-  
და იყოს დღეს საქმე, არამედ ის თუ რა ადგი-  
ლი უჭირავს ოსმალეთის მეზობელ ერების  
პოლიტიკურ მისწრაფებაში მათგან განცდილ  
ტერიტორიულ დანაკლისებს? სომხების გა-  
ნცდა უფრო ცნობილია. ძნელი და მეტად  
ძნელია მათაც ისე გადაუსვან ჯვარი დაკარ-  
გულს, როგორცა ჰქმნეს ბერძნებმა, მცირე  
აზიაში ნაბუდარ ადგილებისგამო.

როგორიღაა ქართველების დამოკიდებუ-

ლება ეგრედ - წოდებულ სამუსულმანო, ანუ  
ოსმალეთის საქართველოს ნაწილების საკი-  
თხთან, რომლებიც ოსმალეთის ხელში დარ-  
ჩა? ეს ეხება უმთავრესად ყოფილ ბათუმის  
ოლქს, ამ უამად ართვინის ვილაიეტს და ყარ-  
სისა და აზრუმის ზოგიერთ კაზებს. ქართვე-  
ლთა შორის ხანდახან ისმის აგრეთვე წუწუ-  
ნი იმის შესახებაც, რომ ლაზისტანში ილუპე-  
ბიან ქართველების და განსაკუთრებით მეგრე-  
ლების სისხლის ნათესავი ლაზები. მაგრამ  
პოლიტიკური მნიშვნელობა ამ წუწუნს მა-  
ინც არა აქვს. გამოტეხილი უნდა ითქვას,  
რომ ლაზისტანი საზოგადოთ ქართული პო-  
ლიტიკისა და კულტურის გარეშე იდო. 1914  
წლის ომის წინ ლაზისტანში ნამყოფი იშვი-  
ათი მეთვალყურე ნ. ი. მარრი აღნიშნავდა,  
რომ ეროვნულ გადაგვარების და გათურქების  
პროცესი ლაზთა შორის ფრიად შორს არის  
წასული. ლაზისტანს ეგრედ - წოდებულ სა-  
მუსულმანო საქართველოს არც არას დროს  
აკუთვნებდნენ. მაგრამ საქართველოს ეს ასე  
მახლობელი ნაჭერიც ყოფილ ტრაპიზონის  
სამეფოსი, მასთან იქნებოდა გაერთიანებუ-  
ლი, თუ რომ 1921 წლის სევრის ხელშეკრუ-  
ლობა განხორციელდებოდა და თუ სომხეთ -  
საქართველოს გამიჯვნის დროს, რაიცა მა-  
შინ შესაძლებელი მოსჩანდა, ლაზისტანის სა-  
ნჯაყი (ამ უამად რიზეს ვილაიეტი) საქართვე-  
ლოს მიეკუთვნებოდა. თუ რომ .... ცხადია,  
რომ ჩვენი დროის პირობებში, საზოგადოთ,  
საკითხი იხსნება. რაც შეეხება ოსმალეთის  
საქართველოს მტკვრისა და ჭოროხის ზედა  
წელზედ, აქ ფრიად დიდი სამუშაო მოიპო-  
ვება ქართველ არხეოლოგებისათვის, ისტო-  
რიკოსებისათვის და ეტნოგრაფებისათვის, მა-  
გრამ არსებულ პირობებში პოლიტიკოსებს  
გვგონია გასაკეთებელი არაფერი უნდა ჰქონ-

გონებებს შეეხებოთ. ისინი ცოცხალი არა აქვთ ქართველებს და ამაში არც სომხები ჩამორჩებიან მათ, თუმცა არც ამ წარსულშია ადვილი მათი გამიჯვნა. მით უმეტეს რომ მეხსიერება არ დაჰკარგვიათ არც ოსმალეთი; პირიქით, ეხლა უფრო მეტის ჯანით მუშაობს.

ცნობები, თუ რა ხდება ამ ადგილებში ცოცხალია. 1927 წლის აღწერის მიხედვით ქართულად მოლაპარაკენი აღნიშნულნიც კი არ არიან. ცხადია, რომ მოსახლეობა თავის დედა ენად თურქულ ენას ასაღებს იმ ადგილებშიც კი სადაც თურქულთან ქართულსაც ლაპარაკობენ. ამავე სახით და იმავე აღწერის მიხედვით, ჩერქეზების და საზოგადოთ კავკასიიდან მისულების ჩამომავლობაც, მთელს ოსმალეთში, მხოლოდ რაღაც ასი ათასი ითვლება.

ოსმალეთის მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო, რომ 1921 წლიდან შეერთებულ პროვინციებში მტრული ელემენტები დაშვებულ არ იქნენ და მათი ოსმალური ხასიათი უფრო გააძლიერონ. ამას კავშირი აქვს საზოგადო და ფრიად პირდაპირ პროგრამასთან, რომ ოსმალეთი განსაზღვრულ ნაციონალურ ყადრის სახელმწიფოდ გარდაქმნან. წარმოსადგენია, რომ ამ ნიადაგზედ კავკასიურ ჩამომავლობის კერძოდ ქართველ - მამადიან თურქის ქვეშევრდომებს შეჭირვებასაც აყენებენ. მაგრამ ამაზედაც მხოლოდ თუბით შეგვიძლიან ლაპარაკი. სხვა უფრო ხელისშემწეობ პირობებში და უფრო მაღალ განათლების დონეზედ, ოსმალეთის ქართველი მამადიანები უკეთ შესძლებდნენ თავის მდგომარეობის შეგნებას და იქნებოდნენ ცოცხალი კავშირი ოსმალეთსა და საქართველოს და მთელ კავკასიის შორის.

ძველი ოსმალეთის ობსკურანტიზმის პირობებში ქართულ მოსახლეობის ნაშთის ეროვნული გათახსირების საქმე, მის ტერიტორიაზედ დიდის წარმატებით მიდიოდა. ტყუილად არ იყო, რომ ერთი გამოჩენილი რუსი-

ფიკატორი, მე - 19 საუკუნის დასაწყისში, რუსის მთავრობას ურჩევდა, რომ ამ საქმეში მაგალითი ოსმალეთისაგან აეღო. რა ნაყოფს გამოიღებს ახალი განათლება ოსმალეთის ამ სანაპიროზედ, ამისი მსჯავრი ჯერ კიდევ ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში ამ სანაპიროს მოსახლეობის ერთგულება ისლამისადმი მუდამ ჰქმნიდა სხვაობის და დაშორების იხეთ თავისებურ პირობებს, რომელც სპობდა ირრედენტის შესაძლებლობას პირდაპირის მნიშვნელობით. ხოლო რაც შეეხება ისტორიულ და სენტიმენტალურ ინტერესს, ნათესაური კავშირის გრძნობას, ამაზედ ვერც ერთი თავის თავის პატივსმეული ერი უარს ვერ იტყვის და ვერც სხვას აუკრძალავს.

რუსეთის მიერ 1878 წელს დაპყრობილ სამხრეთის სანჯაყის დაბრუნებას ოსმალები სიამოვნებით აღარებდნენ საფრანგეთის მიერ ელზასის და ლოტარინგიის დაბრუნებას. კერძოდ, ყარსის სამხედრო მნიშვნელობაზედ ლაპარაკი მათთვის ხომ მეტიც არის. არაფერი ისჯის აგრეთვე, რომ ვისმეს ოსმალეთისაგან მათი წაღება სურდეს და არა გვგონია, რომ თვით ოსმალებს ამისი რამე ეჭვი ჰქონდეთ. კავკასიურ ერებს, რომლებმაც 1921 წლის ქირურგიულ ოპერაციით ტერიტორიულად იზარალეს, არავითარი განზრახვა არა აქვთ, — რამდენადაც ამის წარმოდგენა შორიდგნ შესძლებელია, — არც შესაძლებლობა, რომ არსებულ სამზღვრების ხელშეუხებლობას ამ უამად ემუქრობდნენ. ამაზედ უნდა დაბოლოვდეს სავსებით, ჩვენი დროის პირობებში, ეს ამბავი. იგივე შეიძლება ითქვას დარწმუნებით იმავე სამზღვრების ხელშეუხებლობაზედ ოსმალეთის მხრითაც — ვიდრე ეს სამზღვარი ემყარება მის ძალების და საბჭოთა ძალების წონასწორობაზედ. დანარჩენი უცნობია. არავითარი შიში ახლო მომავალში, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული სიწმინდის ამის გამო, თითქოს არ უნდა არსებობდეს.

სიცხოველე და უცვალებლობის ძალა ამ სამზღვარს, რა თქმა უნდა, არა აქვს. და კავკასიური ერები რომ ამას ისეთი განსაკუთრებული აღფრთოვანებით არ შეხვდებიან, არც ამას უნდა ველოდეთ.

საფიქრებელია, რომ თუკი ოდესმე კავკასიის კონფედერაცია შეიქმნა, მის ხალხებს უფრო ნაკლები საფუძველი და შესაძლებლობა ექნებათ, რომ ამ სამზღვრების გადამიჯვნას შეეცადნენ. ეს იციან და ესმის ყველას, ვინც ასეთ საკითხებში დაინტერესებული არიან.

საზოგადოთ, დიდი ხანია უკვე დროა, რომ კავკასიის სამხრეთ სამზღვრების მსჯელობის დროს, ხელი ავიღოთ იმ ცრუმორწმუნობაზედ, შიშზედ და მოლოდინზედ, რომელიც გვიანდერძა ჯერ კიდევ იმ დრომ, რამ სამზღვარი წინანდელი რუსეთის იმპერიის სამხედრო მიჯნა იყო, შექმნილი იმ მიზნით, რომ ოსმალეთზედ და სპარსეთზედ გავლენა ეხდინათ.

კავკასიის შორი - ახლოს, არა დღითი დღე, არამედ ყოველ საათს მთელი ახლო აღმოსავლეთის ფერისცვალება ხდება. იცვლება არა მარტო მისი ქერქი, არამედ თვით სული. შემდეგ, ჩვენი თვალის წინ იცვლება მისი საერთაშორისო ორგანიზაცია და მთელი ვითარება ერთა შორის. თანამედროვე ოსმალეთი ძველი ოტტომანის „ავადყოფი კაცი“ აღარ არის, ხოლო ჩვენი დღეების ირანი — უკანასკნელ ყაჯარების სპარსეთი. არაბთა სახელმწიფონი და ავღანისტანი ამ სურათს ათავე-

ბენ. წინა აზიის ამ ძველ ქვეყანასთან კავკასიური ერები გადაჯაჭვულნი იყვნენ მრავალსაუკუნეთა განმავლობაში და ათას წლობითაც. მით უმეტეს დიდი ინტერესითა და ყურადღებით და აგრეთვე სათანადო კრიტიკით უნდა ექცევიდნენ ისინი ამ მნიშვნელოვან ცვლილებებს ჩვენგან სამხრეთით.

ამ თვალსაზრისით ახალი ირანი არა ნაკლებ საყურადღებოა კავკასიისათვის, ვიდრე ახალი ოსმალეთი. ზემოთ აღნიშნული იყო, კავკასია - ირანის სამზღვრის გამძლე და უცვალებელი ხასიათი — 1828 წლიდან. იყო დრო და არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, როცა კაცს ეჩვენებოდა, რომ ამ გამძლეობას, ორი აზერბეიჯანის, ე. ი. ჩრდილოდგან კავკასიურ და სამხრეთიდგან სპარსულ არაქსის გაღმა აზერბეიჯანების მოსალოდნელ გაერთიანების გამო — საფრთხე ელოდა. ამით აიხსნება აგრეთვე ის მეტად თავნება სახელიც, რომელიც დაერქვა 1918 წელს რესპუბლიკასაც, რომელიც ძველი ირანის და შირვანის მემკვიდრე იყო. ამ ოცნებას მიუხედავად მისი ასეთი სიტკბოსი, ბედი სულ არა ჰქონდა და ირრედენტიზმამდე საქმე ვერ მივიდა. ასეთი პოლიტიკანობა ძირშივე უნდა მოესპოთ. ეტყობა, რომ ახალი ირანი თავის თავს დაიცავს. ოღონდ თითონ არ შექოვიბრუნოს კეხი და სამხრეთიდგან ჩრდილოეთისაკენ არ წამოვიდეს! ეს-ღა დაგვაკლდებოდა.

ასეა თუ ისე, აღორძინებულმა ირანმა გამომაფხიზლებელი გავლენა იქონა ჯერ სულ მეტად თავ-გატაცებულ თურანიზმის მომხრეებზედ, რომელიც შესაძლებელია არა ერთი „ირრედენტის“ წყარო შეიქმნეს. სიღინჯისა და კეთილგონიერების პირველი ძახილი, ამის გამო, როგორც ცნობილია, თვით ოსმალეთისაგან გამოდოდა. ამასთანავე გარემოებაც ისე ეწყობა, რომ ორივე მუსულმან მეზობელ ურთი - ერთ გავლენის მიხედვით, რომლებიც ევროპიულ განვითარების გზაზედ არიან შე-



მდგარნი, კავკასიურ აზრებიჯანისათვის უფრო ადვილი იქნება, როგორც თავისი ტურანიზმის სწორი ზომის, ისე იდეური წონა - სწორობის მიგნება, აუცილებელი მის წმინდა კავკასიურ მოწოდებისათვის. მტკიცე „ირა-

ნული“ ჩარჩო ანუ ჯებირი სამხრეთისაკენ, ამაში დიდათ შეუწყობს მას ხელს. ესევე სჯობიან მის კავკასიურ მეზობლებისათვისაც.

ზ. ავალიშვილი

## ილია ჭავჭავაძე

### 1.

საქართველო დღეს ილია ჭავჭავაძის დღესასწაულს ხდილობს. მაგრამ ეს არ არის მარტო ილიას დღესასწაული. ეს არის ნამდვილი ქართული სასწაულიც. მარქსიზმა საქართველო დაიპყრა და საქართველომ ილიას იუბილეთი უპასუხა. ასეთი რამ არ დამართნია არც ერთ „მოდერნებს“, არც ერთ პოლიტიკურ მიმართულებას.

ჩვენი ეროვნული კატასტროფის შემდეგ ეს მოვლენა ბუნებრივი და აუცილებელი იყო.

ილია იყო ახალი საქართველოს ეროვნული შეგნების ფუძემდებელი და საქართველო, სხვა მავნე იდეებით გზიდვან გადავარდნილი, მასვე უნდა დაბრუნებოდა. ასი წლის განმავლობაში (1837 — 1937 წ.) საქართველოს არა ჰყოლია პიროვნება უფრო დიდი, ეროვნული შეგნების კაცი — უფრო ნათელი თავით და ქართული გულით, ვიდრე ილია ჭავჭავაძე იყო. სხვა მისი თანამედროვენი ან მხოლოდ მისი ბრწყინვალე თანამოსაგრე და თანაზიარი იყვნენ, ან პირდაპირ ხელის შემშლელნი, რომელთაც კიდევაც დაღუპეს საქართველო. ამიტომ ბუნებრივია, რომ თავის შეცდომებზედ თვალ ახეული საქართველოს წინ ისევ ილია ჭავჭავაძე დაუდგა. საქართველოსა და ჭავჭავაძის შორის სხვა კაცი შეტია. ყველა ეს გუშინდელი მეთაური, უშნოდ და ხამად „ეროვნულ“ ქურქში გახვეული, მხოლოდ ცუდათ ნათამაშევ პიესის ნაშტენი აქტიორია. არ ივარგა არა მარ-

ტო მათმა თამაშობამ, თვით პიესაც სხვა იყო ნათამაშევი. აქტიორებმა თავი ვერ შეიკავეს და თავის ბალაგანს ნამდვილი ცეცხლი წაუკიდეს. შიგ ამოიბუგა მთელი მათი რეპერტუარი, გარდერობი, რეკვიზიტი და დეკორაცია. დარჩა მხოლოდ ქართველი ერი და მკვდარი ილიას ეროვნული კონცეპცია.

და დღეს ილიას სახელს ახსენებს არა მარტო ქართველი ერი, უამისოდაც მუდამ მისით მოამაყე და მისი მადლიერი, არამედ კანოსაში მიდიან მისი მოწინააღმდეგენიც. კანოსაში მიდის ეგრედ წოდებული „მესამე დასი“, ეს რუსული მარქსიზმის „პოვოზკა“ ჩვენში, შემდეგში მენშევიკებად და ბოლშევიკებად გადაბრუნებული, დაშლილი და გატეხილი.

მაგრამ არსებობს ბოლშევიკურ - მენშევიკურ ხასიათების ერთი განსხვავება, ან უკეთ რომ ითქვას, სტალინის პირადი ხასიათის თვისება, რომელიც, ამ შემთხვევაში მაინც, აღსანიშნავია.

რაკი სტალინმა ილიას იუბილედ დართო, თავის თავყანა ბოლშევიკებს ისიც უბრძანა, რომ ილია ექოთ და ედიდებინათ როგორც მართლა დიდი ეროვნული მოღვაწე და დიდი ქართველი პოეტი და არა როგორც ანდერსენის ზღაპრების თავვი, რომელმაც თავის თავს ცოტა ფანტაზია შეატყო და პოეტობა მოინდომა. ბოლშევიკებმა ეს ბრძანება პირნათლად

ქართული  
ლიტერატურის  
ისტორია

შეასრულეს და ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში ჩვენი მკითხველი ამოიკითხავდა თუ როგორ აფასებენ დღეს საქართველოში ილია ჭავჭავაძეს.

არაფერია, რომ თავის მრავალ ქებაში ილიაზედ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლშევიკები ილიას „კაკო ყაჩაღს“ უფრო აწვეებიან. ილიას ეს ვითომდა „ნათესაობა“ ბოლშევიკებთან, ჩვენ ეროვნულ თავმოყვარეობას ვერ შელახავს. საქართველოში კარგად იციან, რომ ბოლშევიკურ ჩეკისტთან ან მენშევიკურ ტერორისტთან ილიას „კაკო ყაჩაღს“ საერთო არაფერი აქვს.

2

ასე მორიგებით არ ათავებენ საქმეს ილიასთან მენშევიკები ემიგრაციაში. აქ ეტყობათ, რომ თითქოს ილიაზედ კარგის თქმა სურს, მაგრამ არ ეხერხებათ. ქება უნდათ, მაგრამ ჩვეულება ნებას არ აძლევთ. ილიას ახოვანი ფიგურის გაზომვა სურთ, მაგრამ როგორც ქონდრის კაცებს შეშვენით — ზომავენ გოჯით და თანაც ზომაში იპარავენ: ილია აქედან აქამდის კარგია, მაგრამ აქედგნ აქამდის აღარ ვარგა, რადგან მერე აკაკია კრგო!...

ასეთ ლიტერატურულ ლოდიკის და კრიტიკული მეთოდის საოცარ ნიმუშს წარმოადგენს, მაგალითად, ბ. ჟორდანიას ორი წერილი, „ბრძოლის ხმის“ უკნასკნელ ორ ნომერში დაბეჭდილი.

ბ. ჟორდანიას წერილი უკვე თავის სათაურით იპყრობს ზედმეტ ყურადღებას. მისი „ორი პოეტი“ — ილიას და აკაკის ნიშნავს. გამოდის, თითქოს ჩვენ ავტორს ამ ჩვენ ორ დიდ პოეტზედ ცალ - ცალკე წერა არ შესძლებია და მაინცა და მაინც მათი დადარება და დაპირისპირება და ამის შესახებ საზოგადოებაში კამათის შეტანა ყოფილა კარგი საქმე. ასეთი მეთოდი ჯერ ლიტერატურულ კრიტიკაშიაც არ ითვლება საუკეთესო მე-

თოდათ და ილიას საიუბილეო პირობებში ხომ როგორღაც ურიგოდაც გამოიყურება. მაგრამ, ეტყობა, ბ. ჟორდანია ამას ანგარიშს არ უწევს და ერთ პოეტს იშველიებს, რომ მეორე ასწიოს და მეორეს იშველიებს, რომ პირველი დასწიოს. მოკლედ, ავია თუ კარგი ბ. ჟორდანიას კრიტიკული მეთოდი, მისი შესანიშნავი მნიშვნელობა ის არის, რომ წაგებაში მუდამ ერთი და იგივე პოეტი რჩება. „ორ პოეტზედ“ ერთად წერაც, ეტყობა, ბ. ჟორდანიას ამისათვის სჭირდება.

ჩვენი კრიტიკოსის სიმპატია აშკარად აკაკის მხარეზეა და ამის გამო ბ. ჟორდანიას ვერავინ დასძრახავს. აკაკი იმდენად დიდი პოეტია, რომ მუდამ იქნება ხალხი, რომელიც მას ამჯობინებს და არა სხვა პოეტს. ათასობით არის ისეთი გერმანელი, რომელსაც შილლერი ურჩევნია გოეტეს. უფრო სწორედ რომ ითქვას, ეს გემოვნების საკითხია. მაგრამ სწორედ აკაკის ლექსების არჩევანში ვერ იჩენს ბ. ჟორდანია ამ „გემოვნებას“. აკაკის პოეზიაში, იგი უმთავრესად იმ ლექსებს აწვევს, რომელთა უმრავლესობაზედ თვით პოეტი სწერდა: ჩემი ლექსების ცხრა მეათედს პოეზიასთან საერთო არაფერი აქვს, ისინი ყოველ - დღიურ საჭირბოროტო საგნებზედ იწერებოდნენო! სამაგიეროთ, ლექსების ის „ერთი მეათედი“, რომელიც აკაკის პოეზიის ბრწყინვალეობას წარმოადგენს, სწორედ იმდენია, რამდენიც საჭიროა, რომ აკაკი დიდი ქართველი პოეტი იყოს. ბ. ჟორდანია აკაკის ამ პოეზიას თითქმის განზედ სტოვებს და უმთავრესად მის ამ „საჭირბოროტო“ ლექსებით სტკბება. თან, ზოგჯერ მათ წარმოშობის „ისტორიასაც“ ივიწყებს.

ჩვენ კრიტიკოსს, მაგალითად, პოეტის ერთი ასეთი „საჭირბოროტო“ ლექსიც მოჰყავს: არაფრად მიჩანს ქვეყნის დიდება, კუჭს არ ვაღმერთებ, თაყვანს ვსცემ გულსა, და ვუგალობ მე თანასწორობას, ძმობას, ერთობას და სიყვარულსა!...

ამ ლექსის გამო ბ. ჟორდანიას ერთ ამბავშია! იგი ამტკიცებს, რომ წინააღმდეგ ილიასი, რომელმაც თავისი პირვანდელი იდეალები დაივიწყა, აკაკი ბოლომდის შერჩა თავის სოციალურ და ეროვნულ პროგრამას და ამ პროგრამისათვის ბოლომდის იბრძოდაო. „პოეტი — მოქალაქე, პოეტი — მებრძოლი, მამაცი, უშიშარი და შეუდრეკელი — აი ვინ იყო ჩვენი დიდი მგოსანი, ჩვენი აკაკი“-ო, ამბობს იგი და ამით სურს პირადათ თავისი და მთელი თავის მიმდევრების აკაკისადმი სიყვარული გამოხატოს.

მაგრამ სწორედ ამ ლექსის „ისტორია“ გვასწავლის, რომ ბ. ჟორდანიას ეს აკაკისადმი სიყვარულიც საქარეზედ გატანილი სიტყვებია.

ეს ლექსი დაწერილია 1908 წელს, როცა მესამე სათათბიროს არჩევანი მოხდა, მიმართულია „კუჭისტების“ წინააღმდეგ, („კუჭს არ ვაღმერთებ“), როგორც ეძახდნენ მაშინ „მესამე დასელებს“ ჩვენში და თავისი წარმოშობით პირდაპირი კავშირი აქვს იმ მეტად საყურადღებო მოვლენასთან ჩვენს ცხოვრებაში, რომ პოეტმა სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატად გასვლა მოინდომა და „ქართველმა დემოკრატებმა“ „ჩვენ დიდ მგოსანს და ჩვენ აკაკის“, მართლა მამაც, უშიშარ და შეუდრეკელ მამულიშვილს, ამაში ხელი შეუშალა.

რა მიზეზით? რა თქმა უნდა იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფო სათათბიროში მისული აკაკი საქართველოზედ ალაპარაკდებოდა და ეს კი ბ. ჟორდანიას, მაშინ, დავთარში არ ეწერა.

ასეთი იყო ბ. ჟორდანიას და მის მიმდევრების განწყობილება აკაკისადმი, ასეთი იყო ეგრედ - წოდებულ „მესამე დასის“ განწყობილება, საზოგადოთ, ყველა იმ ქართველ მოღვაწისადმი, ვინც ქართველ ერის ინტერესებს იცავდა. ამიტომ მისი დებულება: —

ილიას მოღვაწეობას ვაკრიტიკებდით, მაგრამ აკაკის ეროვნული პოზიცია სავსებით გვწამდაო, ისეთი ამბავის ნაგვიანევი „დადასტურებაა“, რომელსაც სინამდვილეში ადგილი არასოდეს არ ჰქონია.

ცნობილია აგრეთვე „მესამე დასელების“ ლიტერატურული გემოვნებაც საზოგადოთ და კერძოთ ქართველ მწერლებისადმი დამოკიდებულებაც. მათი საყვარელი მწერლები მაშინ ეგნატე ნინოშვილი, ვარლამ რუხაძე, ზომლეთელი, ქუჩიშვილი და სხვები იყვნენ, რომლებიც დღეს, მკვდარი ნინოშვილის გარდა, რა თქმა უნდა, ბოლშევიკურ ბანაკში იმყოფებიან. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ იროდიონ ევდოშვილი, ფრიად ცნობილი მაშინ ხალხში და არცა თუ უნიჭო მგოსანი, რომელმაც, ილია ჭავჭავაძის მოკვლის დღეებში, მენშევიკებს, წყევლა - კრულვით თავი დაანება. ხოლო რაც შეეხება რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და საზოგადოთ ნამდვილ ქართულ მწერლობას, „მესამე დასელებს“ ისინი აბუჩად აგდებული ჰყავდათ. ფ. მახარაძემ მთელი თხზულება დასწერა რუსთაველზედ, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ „არსენას ლექსი“ სჯობიაო. ილიასა და აკაკიზედ ხომ სიტყვაც მეტი იყო, და მხოლოდ ერთხელ იყო და ისიც ილიას მოკვლის შემდეგ, რომ ნ. ჟორდანიამ მთელი ფელეტონი დაბეჭდა აკაკიზედ, რათა, როგორც დღეს, — აკაკი ილიასათვის დაეპირდაპირებინა.

## 3.

ამ რიგად ახალს და „საიუბილეოს“ ილიაზედ ბ. ჟორდანიას არაფერს არ აქვს. თავის ახალი წერილის დასაწყისში ბ. ჟორდანიას ილიას ქების ბუქს უყენებს, რომ წერილის ბოლოში, სადღაც ბანკირის კონტორაში წაახრჩოს. ბ. ჟორდანიას „ახალი“ აზრი ილიაზედ ეს არის. ჩვენი კრიტიკოსისათვის . ლი-

ას შემოქმედებაში ის გარემოება კი არ არის თვალსაჩინო, რომ პოეტმა თავის დიდ თხზულებათა უმრავლესობა სულ რაღაცა ექვსწელიწადში მოისაზრა და დასწერა, დასწერა ახალგაზრდა კაცის ასაკში, როცა პოეტი ოცდახუთის წლისა იყო, რაიცა პოეტის ნადრევი და სწრაფი განცდის, დიდი ტემპერამენტის და დიდათ იმპულსიური ინტელექტის აშკარა მაჩვენებელია, გასაკვირველი და გასაოცარი კრიტიკოსისათვის ის გარემოება ყოფილა, რომ პოეტს კუბოს კარამდე არ უწერია ლექსები! ბ. ჟორდანიას თქმით, ილია 1872 წლის შემდეგ „აჩრდილის“ მოტივებს აღარ დაბრუნებია და მაშასადამე, ილია — პოეტი, ილია — ქართულ სულიერ ცხოვრების რეფორმატორი და ეროვნული ბრძოლის პეტაური დაქვეითებულა. ბ. ჟორდანია ასახელებს კიდევაც თუ რა იყო ამ დაქვეითების მიზეზი, — ეს ყოფილა პოეტის გაბანკირება და ამნაირად პოეზიისგან ჩამოცილება.

„პოეტი ბანკირის როლში, ამბობს ის, ქვეყანას არ მოსწრებია. პოეტი პოეტობს იმდენათ რამდენათ დამოუკიდებელია ძლიერთა ამ ქვეყნისაგან. მუზა ითხოვს სრულ თავისუფლებას, უამისოთ ის უარს ამბობს სიუჟეტის ამორჩევაზე. რაკი ილიას დაეკარგა ეს დამოუკიდებლობა და გახდა დამოკიდებული იმ ბატონებზე, რომელთაც წინეთ ებრძოდა. ცხადია, ამით დააშრო წყარო შემოქმედებისა; ის ვერ შეიგრძნობდა, ვერ განიცდიდა იმ ხალხის ჭირვარამს, რომელსაც ის დაშორდა. მისი თანამებრძოლი — აკაკი, გ. წერეთელი, ს. მესხი — არ გაყვეს ამ ტალღას, დარჩენ ძებნის ნიადაგზე; ილიამ ეს ძებნა დამთავრებულათ გამოაცხადა“.

ამ რიგად, ბ. ჟორდანიას აზრით, ილია ჭავჭავაძე, აქაო და პოეტი იყო, ხეზედ უნდა გასულიყო, სახლი და კარი არ უნდა ჰქონოდა, და საქმე არაფერი არ უნდა ეკეთებინა.

თავი დავანებოთ იმ ამბავს, რომ ძველი ქართული სამწერლო ტრადიცია შოთა რუსთა-

ველსაც სახელმწიფო ხაზინის გამგეთა სთვლის. გეტჰე და შატობრიანი აშკარად მონისტრები იყვნენ, ამასთანავე გეტჰე სასახლის ეტიკეტსაც დიდის გულმოდგინებით მისდევდა, რასაც ბ. ჟორდანია, როგორც დიდი რევოლუციონერი, გერმანელ პოეტს, ალბათ, „ლაქიობათ“ ჩაუთვლის. მინისტრი იყო აგრეთვე — ლამარტინიც. გაუგონარი მაშასადამე იმაში, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი ქართული ბანკის გამგე იყო (საქართველოს მინისტრი!) არაფერია. გაუგონარი ლიტერატურაში მხოლოდ ის არის, რომ პოეტს ჩააცივდე, რატომ ლექსებს არა სწერო, როცა პოეტი ლექსებს აღარა სწერს! გაუგონარი ლიტერატურულ კრიტიკაში, მართლა, ეს არის და ამის აღმოჩენა კი უცილოდ ბ. ჟორდანიას ეკუთვნის.

პოეტის ცხოვრებას სჩხრეკენ, მის შემოქმედების ევოლუციას სწავლობენ, იწონებენ თუ იწუნებენ იმისდა მიხედვით, თუ რა განვითარება განიცადა მან, რა თემაზედ გადინაცვლა, რა უარჰყო ძველი და რა აღიარა ახალი, მოკლედ, რა დაკნინდა მასში და რა გაიზარდა? ამ მხრით ილიას შემოქმედება მუდამ წარმატებითი იყო. 1872 წლის შემდეგ, რომელსაც ბ. ჟორდანია პოეტის შემოქმედების მოსაქცევ წლადა სთვლის, ილიამ დასწერა: „დიმიტრი თავდადებული“, — 1878 წელს, „განდეგილი“ — 1883 წელს, და „ოთარაანთ ქვრივი“ — 1887 წელს. ყველა ეს თხზულება შესანიშნავია არა მარტო თემათა სხვადასხვაობით, დიდი ფსიხოლოგიური მანძილებით მათ შორის, პრობლემათა სიმალლით, არამედ ილიას შემოქმედებითი ნიჭის უჭკნობლობით. მესამოცე წლების თაობის მწერლობაში ილია ის ერთადერთი მწერალია, რომელსაც ნიჭისა და შემოქმედების დეკადანსი არ განუცდია.

სულ სხვა საკითხია თუ რა იყო მიზეზი, რომ განსაზღვრულ დროდგან პოეტი „აჩრდილის“ მოტივებს არ დაბრუნებია. მაგრამ



განა ამისი მიზეზი უსათუოდ ბანკის კონტორაში უნდა ვეძებოთ, როგორც ამას ბ. ჟორდანიას სჩადის და არა თვით პოეტის გულში, ილიას ხასიათში, დასასრულ ილიას ლიტერატურულ ეთიკაში — „აჩრდილის“ მოტივები ილიას აღარ გაუმეორებია — ლექსად, თორემ თავის მოღვაწეობაში, პუბლიცისტიკაში და რწმენით პოეტი ისევ თავის ძველ იდეალებთან იყო. ესა სჩანს იქიდან, რომ 1872 წლის შემდეგ ილიას არ დაუწერია არც ერთი ისეთი თხზულება, რომელიც „აჩრდილის“ მოტივებს აბათილებდეს. ილიასათვის მთავარი ეს არის. მაგრამ ბ. ჟორდანიასათვის მთავარი, ეტყობა, ისა ყოფილა, რომ ილიამ ცხრამეტჯერ არ დაწერა „აჩრდილი“...

ილია ნამდვილი მწერალი იყო. ნამდვილი მწერლობაა ის განძიც, რომელიც ილიამ ქართველ ერს დაუტოვა, ნამდვილი მწერლობაში კი ისეა, რომ მწერალი ერთხელა სწერს თავის თხზულებას და ეს „პირველ თქმა“ არის საკმაო, რომ მისი აზრი და სახე წარმოვიდგინოთ. ასე ერთხელ არის დაწერილი შოთას „ვეფხისტყაოსანი“, დანტეს — „ღვთაებრივი კომედია“, სერვანტესის — „დონ კიხოტი“ და გეტჰეს — „ფაუსტი“ აღარ გაუმეორებია თავისი „აჩრდილი“ არც ილიას.

რას აკეთებდნენ ესა თუ სხვა ავტორები, ვიდრე მათი თხზულება დაიწერებოდა, ან შემდეგ, როცა მათი თხზულება დაიწერა, ზშირად არც კი ვიცით. სამოცდაცამეტი წლის ვოეტემ, მაგალითად, ჩვიდმეტი წლის ქალს — ცოლობა სთხოვა. გენიოსური აქ არაფერია. დიდ მწერლებს ასეთი ბიოგრაფიაცა აქვთ. მაგრამ ეს მათ იდეებს არა სცვლის და არც თვით მათ ამჩატებს.

მაგრამ ჭეშმარიტად მდაბალი დემაგოგიის სუნი უდის ბ. ჟორდანიას იმ მტკიცებას, რომ ილია ჭავჭავაძე — ბანკის დირექტორი, თურმე „ბატონებისაგან დამოკიდებული“ კაცი ყოფილა! თუ რა იყო მიზეზი, რომ ილია ჭავ-

ჭავაძე ბანკის დირექტორი „გახდა“ ამის ამბავი ნ. ნიკოლაძეს უნდა ვკითხოთ და არა ბ. ჟორდანიას, რომელსაც, ძველებურად — პენშევიკურად, საბანკო მოღვაწეობა საძრახი საქმე ჰგონია.

ნ. ნიკოლაძე სწერს:

„ილია ჭავჭავაძე დუშეთში სცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ეს იყო, რომ ყოველი მაშინდელი ახალთაობის მომხრე შევაგროვე და დავაჯერე — დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ — მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871 — 1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვად“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი“-ო.

1874 წელს ილია მართლა ჩაუდგა ბანკს სათავეში, როგორც ქართულ საქმეს.

აი რა იყო ბანკი და აი ვინ ჩააყენა ილია ჭავჭავაძე ბანკის, ანუ „ქართული საქმეების სათავეში“, როგორც ამბობს ნ. ნიკოლაძე და არა „ბატონებმა“. ასეთ „ქართულ საქმეებში“ ილიას „ბატონი“ არავინ ჰყოლია და ბატონი, მაგრამ ქართული საქმის ბატონი. თითონ იყო! ბ. ჟორდანიას მტკიცება, რომ ილიას ბანკში სხვა „ბატონებიც“ ჰყავდა და ამის გამო სამწერლო სიუჟეტს თავისუფლად ვერ ამოირჩევდაო — მტკნარი ფანტაზია და „სიუჟეტის“ მართლა თავისუფლად ამორჩევია.

4.

ბ. ჟორდანიას შეხედულობა ილია ჭავჭავაძეზედ — ახალი არ არის. ვერავის მოხიბლავს იგი თავის ვითომდა აკაკის სიყვარულითაც. ყოველივე ეს ძველი შეცდომა და ახალი ფარისევლობაა. ვინც ბ. ჟორდანიას წერილებს გულდასმით წაიკითხავს, ის მიხვდება თუ რას უწუნებს იგი ილიას: ილია, რო-

მელიც ეროვნული მოძრაობის მეთაური იყო, რატომ „მასსების“ მოძრაობის მეთაურიც არ იყო?! რაკი არ იყო, მაშ თავის მოვალეობაც ვერ შეასრულა. ასეთია ბ. ჟორდანიას დებულება. მაგრამ ვსთქვათ, რომ „მასსების“ მოძრაობა უფრო მაღალ - ხარისხოვანი მოვლენაა. ისტორიაში, ვიდრე — ეროვნული, როგორც უმავთულო ტელეგრაფი უფრო მაღალი მიღწევაა ტექნიკაში, ვიდრე მავთულიანი. მაშასადამე, ბ. ჟორდანიას ლოლიკით, კაცს, რომელმაც მავთულიანი ტელეგრაფი მოიგონა, შეგვიძლია ვუსაყვედუროთ, რომ მან უმავთულო ტელეგრაფიც არ მოიგონა. დროს, გარემოებას, ისტორიულ შესაძლებლობას და საზოგადოებრივ განვითარების დონეს, ამა თუ იმ „მოძრაობის“ და პროგრესის შექმნაში მნიშვნელობა არა ჰქონია!... სამაგიეროდ, თვით ბ. ჟორდანია იყო „მასსების“ მეთაური და რევოლუციონერი და ბ. ჟორდანიას ტრადიციაც ეს არის. მთელი შეცდომა ბ. ჟორდანიას ორმოცი წლის მოღვაწეობისა ის არის, რომ რევოლუციისაგან ფაცა-ფუციტ გამოქცეულ ბ. ჟორდანიას თავისი თავი რევოლუციონერი ეგონა და ჰგონია. მან არ მიიღო თავის დროზე ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეოლოგიის მემკვიდრეობა და განუდგა არა მარტო ილია ჭავჭავაძეს, არამედ ეროვნულ იდეასაც. მან არჩია არა ეროვნული ტრადიციის პრობლემის გახსნა, არამედ „ხალხის ჭირ - ვარამის“ საკითხი — ლუკმა - პურის ამბავი და ინტერნაციონალი. მისი წერილების გამო ერთმა ჩაფიქრებულმა ქართველმა კაცმა მითხრა:

„ბ. ჟორდანია დაუდევარი მწერალია! ილია ჭავჭავაძეს ბანკის დირექტორობას უწუნებს და „ხალხის ჭირ-ვარამის“ დავიწყებას უსაყვედურებს. მაგრამ ეს რევოლუციონერი და მარქსისტი კაპიტალისტი დავით სარაჯიშვილისაგან „სტუდენტით“ სტიპენდიას ღე-

ბულობდა და რევოლუციონური ბრძოლა ეტყობა ეს არის?! ქათამი წყალს დაღვეს და ღმერთს შეხედავსო!“...

ბ. ჟორდანია ეს არის! რა იცის მან აზნაურმა და პატარა პროვინციული პატრიოტიზმით შეპყრობილმა კაცმა, რომელსაც თუ პარიზშიაც ღომი არ აქამე — პურზედ ახველებს, თუ რა არის ინტერნაციონალი და რევოლუცია?! რევოლუციის საქმე, მისი თავი და ბოლო, ქვეყნის წარღვნისა და მეორედ მოსვლის ამბავი აზნაურმა ჟორდანიამ ქართულ გლეხს სოსო ჯულაშვილს უნდა ჰკითხოს, რომელიც დღეს მთელ რუსეთს დედას უტირიკინებს!...

ამ ჩვენი სისხლისა და ხორცის კაცმა იმდენი აგალა თავი დღევანდელ ქართველ ადამიანს, იმდენი ახეთქა აქეთ - იქით, იმდენი ზილა, იმდენი სჭიმა, ვიდრე ამოვარდნილი ძვლები თავის სახსრებში არ ჩაუგდო. რა არის ბ. ჟორდანიას საყვარელი რუსული ნილილიზმი, რუსული მარქსიზმი, რუსული რევოლუცია დღეს საქართველომ უკვე კარგად იცის. კარგად იცის ისიც, თუ ვინა და რა იყო მისთვის ილია ჭავჭავაძეც, ის ილია ჭავჭავაძეც, რომელიც დღეს საქართველოს ტანჯული გვამის სულიერ აჩრდილად გადიქცა და რომელმაც მოწამებრივი გვირგვინი საქართველოსათვის, ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინად დაიდგა. რაღას უნდა ნინშავდეს, ყველა ამის შემდეგ, ბ. ჟორდანიას სამუდამოდ წამხდარი გუნების ბუსხუნი, სადღაც შორს ემიგრაციაში, პირისპირ ისეთ საქართველოსი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე, მეფე ლირის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „თხემით ფეხამდის“ სწამს, ახსოვს, ადიდებს?!...

დიდება და სახელი ილია ჭავჭავაძეს, ფუ — ეშმაკს!

შ. ამირჯიბი.

## საქართველო

შენ ხარ ქართველის ტაძარი —  
ხატით და სალოცავითა,  
შენებრ ლამაზი სად არი  
კუთხე ბარაქით, ხვალითა!

სად არის გმირთა აკვანი  
თუ არა შენებრ ჯანისა,  
შენ მოგვეც დიდი მგოსანი  
— მღერალი „ოქროს ხანისა“!

შენ შობე დიდი დავითი  
ჩვენი ოცნება — თამარი,  
და დაგვარწმუნე ამითი  
ერი უკვდავი რამ არი!

ვისაც წარსული ჰქონია,  
დიდება, გასაოცარი,  
მისია, მუდამ, მგონია,  
მერმისი წარუხოცარი.

განა აწმყოც არ გვარწმუნებს  
რომ ერი სულით დიდია?!  
დიდებულ წარსულს იბრუნებს  
— იგი მომავლის ხიდეა!!

ტანჯვა მოისმის გარშემო,  
ერი მტერს არა ნებდება,  
სისხლით იბრძვის და მის გამო —  
სული დღითი - დღე მთელდება.

ამ გზით იშვა „ოქროს ხანა“  
დიდებული, მშვენიერი!  
ამას მომავალშიც განა  
ვერ მიაღწევს ისევ ერი?!

გული ხშირად მეუბნება:  
„რას დალონდი, რა გაწუხებს —  
ყველაფერი გასწორდება,  
ცა რისხვით არ მოგვაქუხებს“!

„გაიხარებ მომავალით —  
ილიას ხმა აგიხდება,  
კავკასია ძმურის ვალით  
გვერდში ძმურათ დაგიდგება!“

„ყური მიეც, სამშობლოში  
ყველგან გმირის ძახილია,  
გაიღვიდა ერთა გულში —  
ქადაგებდა რას ილია!“

„თითქო აღმაშენებელი  
საქართველოს კვლავ აშენებს,  
კვლავ ამღერდა რუსთაველი  
უხარიანთ შენ ნაშენებს!“

„თვით თამარი ქალთა რაზმით  
წინ მიუძღვის თავის ერსა,  
ჯარს ასხურებს აიაზმით  
გამარჯვებულს, ბედნიერსა.“

მოსჩანს სახით ჯეილითა,  
ეგებება მასაც ხალხი,  
სიყვარულით, ზეიმითა!

„და ჰა — თითონ „პატარა კახი“  
„და შამილი — დიდებული  
მოალაშქრებს თვის არწივებს  
და უკვდავი მისი სული  
მხარს უმაგრებს ქართველის გმირებს!“

„აქ კი... ერთმანეთს აბეზღებთ,  
ერს აწუხებთ ჭორებითა,  
ქართველის სახელს შავითა ღებთ —  
ტყუილების გორებითა!“

„აქაც გასაკეთებელი  
ბევრი გქონდათ ხალხისთვისა,  
მაგრამ... დასაფეთებელი  
გამოდექით ამისთვისა!“

## შაქრო ბაქრაძე

რედაქციისაგან: სიამოვნებით ვბეჭდავთ  
ჩვენი სახელოვანი მხედარის გენ. ზ. ბაქრაძის  
გრძნობიერ და პატრიოტულ ლექსს. ჩვენმა  
მკითხველებმა იციან, რომ გენ. ზ. ბაქრაძე  
შვილია ჩვენი დიდი პატრიოტის და ისტორი-  
კოსის დიმიტრი ბაქრაძისა.

## შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. - სა და მთავრობის ცნობილი ისტორიული დადგენილების თანახმად, 1937 წ. შემოდგომას შ. რუსთაველის 750 წ. იუბილეისთან დაკავშირებით შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის დიდი გამოფენა უნდა მოეწყოს. ამ ამოცანის განხორციელების გასაადვილებლად დაარსებულია „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“.

მუზეუმის სამოქმედო ასპარეზი მე - 11 — 13 საუკუნეებით არის შემოფარგლული. ამ დაწესებულების უპირველეს მოვალეობას შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის გამოფენის მოწყობა შეადგენს და თვით მუზეუმიც შესაძლებელია, მხოლოდ ამ დროისათვის იყოს დამთავრებული.

წინასწარ შედგენილი გეგმა მთელ სამუშაოს სამ მთავარ სექტორად ჰყოფს: ერთს სალიტერატურო სექტორი შეადგენს, მეორეს — ხელოვნებისა, მესამე კი ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის სექტორია. ყოველ სექტორს თავისი ხელმძღვანელები ჰყავს. სალიტერატურო სექტორის მოწყობა პ. ინგოროყვასა აქვს დავალებული, ხელოვნებისა — დ. შევარდნაძეს, ხოლო ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის სექტორისა — ამ სტრიქონების ავტორს.

ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის გამოფენა მთელი მაშინდელი მატერიალური კულტურის ამსახველი უნდა იყოს. გამოფენამ უნდა მნახველს უჩვენოს, თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში მე - 11 — 13 ს. როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, როგორი იყო მისი წესწყობილება. გამოფენის მნახველს საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ სახელმწიფო დარბაზობისა და ვაზირობის, ისევე, როგორც რაინდობის წესები წარმოიდგინოს, იცოდეს რას იცვამდნენ და

იხურავდნენ მაშინ, რანაირი ავეჯი და ქურჭლეული ჰქონდათ, რა სამეურნეო და საბრძოლველი იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ სასოფლო მეურნეობას, მემინდვრობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა მაშინ, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ყოფაცხოვრება და ვაჭრობა - მრეწველობა.

მაშინდელი მატერიალური კულტურის ისტორიის აღსადგენად, მისი დონის გასათვალისწინებლად და გამოფენის დამთვალეობისათვის ცხადსაყოფელად, რა თქმა უნდა, მარტო წერილობითი წყაროების ცნობები საკმარისი არ არის, არამედ ამ კულტურის თვით იმდროინდელი ნივთებიც არის აუცილებლად საჭირო. ვისაც მატერიალური კულტურის ისტორია თუნდაც მარტო გადაკითხული აქვს, ეცოდინება, რომ უძველესი ხანის საყოფაცხოვრებო ნივთები და საგნები, ტანისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ავეჯი, ქურჭელი და იარაღი შეტად ცოტაა გადარჩენილი და იშვიათად თუ სადმე მოიპოვება, ისიც თითო - ოროლა. პოლიტიკური ცხოვრების უკულმართობამ, დროისა და ჰავა - ნიადაგის უღმრთელობამ და წარსულ თაობათა შეუგნებლობა - დაუღვერობამ ასეთი საგნების უმეტესობა იმსხვერპლა და ხშირად უკვალოდაც კი დაუკარგა მეცნიერებას. ამ მხრივ ბედნიერ გამოჩნაკლისს ძველი ეგვიპტე წარმოადგენს, როგორც მშრალმა ჰავამ და უნოტიო ნიადაკმა, ნეტადრე კი პირამედებში დამურჯილობას საშუალებით მიცვალებულთა დამარხვას წესმა მეცნიერებას დაუზიანებლივ შეუწარმოა როგორც ტანისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი და ქსოვილები, ისევე მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთიც.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ძველ საქართველოზე მრავალგზის თავდა-  
მტყდარმა უბედურებამ ქართული მატერია-  
ლური კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერ-  
პლა, ხოლო რაც გადარჩა, იმათგანაც ბევრი  
რამ რომანოვების ხანაში მთავრობის მოხე-  
ლეთა უკულტურო ბატონობისა და ჩვენ წა-  
რსულ თაობათა შეუგნებლობა - დაუდევრო-  
ბის გამო გაჩანაგდა და განადგურდა. ამიტომ  
გასაკვირველიც არაფერია, თუ ჩვენ 11 —  
13 ს. ს. საქართველოს მატერიალური კულ-  
ტურისა და ყოფაცხოვრების ნივთიერ ნაშთ-  
თაგან ძალიან ცოტა-ლა გვაქვს გადარჩევი-  
ლი. ამ გადარჩენილთაგანაც არა ერთი უბ-  
ვირფასესი ძეგლი საქართველოდან უცხოეთ-  
შია გატანილი, ზოგი იქაურ მუზეუმებშია  
დაცული, უმეტესი კი 1921 წელს მენშევი-  
კური მთავრობის მიერ ყაჩაღურად გატაცე-  
ბულ განძეულობას წარმოადგენს, რომელიც  
საქართველოს ჯერაც არ დაჰბრუნებია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი კულ-  
ტურის თანდათან ზრდის გაფართოებისა და  
გაღრმავების გასათვალისწინებლად გამოფე-  
ნილი იქნება 11 — 13 ს. ს. პოლიტიკური რუ-  
კა, რომელზედაც ამ ხნის სახელმწიფოებრი-  
ვი საზღვრები აღინიშნება. გამოფენის მნახ-  
ველს სახელმწიფოებრიობა გარეგნულად წა-  
რმოუდგება უზენაესი ხელისუფლის თანამ-  
დებობის პირთა ტანისამოსისა და ხელისუფ-  
ლების ნიშნების სურათებითაც, დარბაზობი-  
სა და ვაზრობის გამომხატველი სურათების  
საშუალებითაც.

11 — 13 ს. ს. საქართველოსათვის რაინ-  
დობა იყო დამახასიათებელი. ამიტომაც გა-  
მოფენაზე ამ რაინდობის გარეგნული გამო-  
ხატულებაც უნდა იყოს წარმოდგენილი შე-  
ჭურვილი რაინდის სახით მაინც. სამწუხაროდ,  
არც საქ. მუზეუმის კოლექციებში და არც  
სხვაგან სადმე საქართველოში ამჟამად რაინ-  
დისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯა-  
ვშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხო-  
ლოდ ბერლინის ცოიგჰაუზში (იარაღების

მუზეუმში) ნახავს ადამიანი საქართველოდან  
(ხევსურეთიდან) მე - 19 ს-ში გატანილს, მა-  
ნეკენზე ჩამოცმულს, მე - 13 ს. რაინდისა და  
ცხენის ორ მთლიანს საუცხოო ანაკრებს. 13  
ს. მშვენიერი ოქროს ზარნაიშთ უხვად შემ-  
კული ქართული მუზარადიც არსებობს. მაგ-  
რამ ჯერჯერობით არც ის არის საქარ-თვე-  
ლოში. ისტორიული კედლის მხატვრობისა  
და შინაატურების მიხედვით წარმოდგენილი  
იქნება იმდროინდელი აბჯრისა და ყოველ-  
გვარი საქურვლის სურათები.

რაკი იმდროინდელი არც ტანისამოსი და  
არც ავეჯი გადარჩენილი არ არის და არც  
არავითარი იმედი შეიძლება გვქონდეს, რომ  
არქეოლოგიური გათხრითაც კარვად დაცუ-  
ლი ამნაირი მნიშვნელოვანი რამ ნაშთი ოღე-  
სმე აღმოჩნდეს, ამიტომ ამ დანაკლისას ანა-  
ზღაურება და შევსება შემდეგი საშუალებით  
დავისახე. თუ თვით ტანისამოსი, თავსაბუ-  
რავსა და ფეხსაცმელს ისევე როგორც ავე-  
ჯსა, ჭურჭელსა და იარაღს ჩვენამდია ან სრუ-  
ლებით არ მოუღწევია, ან მცირე რაოდენო-  
ბით (ჭურჭელი, იარაღი), სამაგიეროდ ისტო-  
რიული პირების კედლის მხატვრობა მოგვე-  
პოვება. სწორედ ამის მიხედვით შესაძლებე-  
ლია მკვლევარმა მაშინდელი ტანისამოსი,  
თავსაბურავი და ფეხსაცმელი საკმაოდ კარ-  
გად აღადგინოს.

კედლის მხატვრობით აღბეჭდილი ისტო-  
რიული პირების ჩაცმულობის, თავსაბურა-  
ვის, სამკაულისა და იარაღის ხელნაწერებში  
დაცულ მინიატურებთან შედარებითმა შეს-  
წავლამ დამარწმუნა, რომ მხატვრობის ამ  
უკანასკნელი დარგის ძეგლებში ბევრგან ისე-  
თივე ჩაცმულობა, ქსოვილების სახეები, თავ-  
საბურავი, სამკაული და იარაღია წარმოდგე-  
ნილი, როგორც ისტორიულ მხატვრობაში  
გვხვდება. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს,  
რა თქმა უნდა, სათანადო სიფრთხილის დაც-  
ვითა და წინასწარი კვლევა - ძიების შემდ-  
გომ, იმდროინდელს საქართველოში გავრცე-

ლებული ჩაცმა - დახურვის წესის შესასწავლად და აღსადგენად ხელნაწერებში დაცული მასალაც გამოვიყენოთ. ამ დაკვირვებასა და დასკვნას იმიტომაც აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა, რომ კედლის მხატვრობაში მხოლოდ მეფე - დედოფლისა და მაღალი წრეების წევრების, ვაზირებისა და ერისთავების, (ზოგჯერ მათი მეუღლეებისაც) სურათები მოგვეპოვება, ჩვენ კი ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ჩაცმულობა უნდა ვიცოდეთ და გამოფენის მნახველს წარმოუდგინოთ. საბედნიეროდ, საამისო მასალებიც არის გადარჩენილი. ეს სწორედ ზოგს ხელნაწერში დაცული მინიატურების გამოყენებით შეიძლება. ამ გზით მოპოვებული მასალა მკვლევარს საშუალებას აძლევს საშუალო და დაბალი სოციალური ფენის, ქალისა და კაცის, მოზრდილისა და ბავშვის, ვაჭრის, მიწისმომქმედისა და მწყემსის მაშინდელი ჩაცმულობაც გამოარკვიოს.

მხატვრობით აღბეჭდილი ასეთი მასალების შედარებითი შესწავლით, წერილობით, ისტორიულსა და სხვა წყაროებში დაცულს ცნობებთან ერთად, არამც თუ მაშინდელი ჩაცმა - დახურვის წესისა და გარეგნული სახის აღდგენა ხერხდება, არამედ თვითთული მითგანის სახელის გამორკვევაც შეიძლება. სწორედ ამ და კიდევ სხვა მასალების მიხედვით უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოს ტანისამოსისა და მატერიალური კულტურის ყველა სხვა დარგის ისტორიაზე ვმუშაობ და გამოსაქვეყნებლად ვამზადებ.

ამ გეგმის მიხედვით და ამ მასალების გამოყენებით სწარმოებს გამოსაფენი ექსპონატების მზადება. უკვე დახატულია კედლის მხატვრობის ისტორიული პირებისა და ხელნაწერი წყაროებიდან ამოღებული ბევრი სურათი და არა ერთი კიდევ იხატება და გადმოღებული იქნება მომავალი თვეების განმავლობაში. თანამდებობის პირთა და სოციალური ფენების წარმომადგენელთა ამ მთლიან

სურათებს გარდა, გამოფენაზე ისეთი ნახატებიც იქნება, სადაც გამოფენის დამთვალიერებელს თავსაბურავების, ტანისამოსების, ფეხსაცმელებისა და სამკაულების, ისევე, როგორც იარაღის თვითთული დარგის ცალცალკე შედარებითი შესწავლისათვის განკუთვნილი მთელი მასალა წარმოუდგება.

საქართველოს ნივთიერი კულტურის შესწავლის დროს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ადგილი ქსოვილებსა და ხელსაქმესაც უნდა დაეთმოს. ამ დარგის გასათვალისწინებლად ჩვენ, ერთის მხრით, ძველი ქსოვილების შემთხვევით გადარჩენილი ნაჭრები მოგვეპოვება, მეორე მხრით, კედლის მხატვრობაში ისტორიული პირების ჩაცმულობის ქსოვილების სახეების შესწავლაც საკმაოდ მრავალფეროვანსა და საყურადღებო მასალას გვაწვდის. საუცხოო მასალები მოგვეპოვება მაშინდელ საქართველოში გავრცელებული ნაკერი და ნაქსოვი არშიების აღსადგენადაც. ახლა რომ ამ დარგის საგამოფენო ექსპონატებს შევეხოთ, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქსოვილების გადარჩენილი ნაჭრების უმეტესი ნაწილი მე - 20 ს. დამდეგს საქართველოდან გატანილი იყო და ჩვენში მხოლოდ რამდენიმე ნაჭერიღაა დარჩენილი. მაგრამ ეს გატანილი ნიმუშები გამოფენისათვის დაგვიბრუნდება და მათი გამოყენება შეგვეძლება. დანარჩენი მთელი მასალა სახატების სახით იქნება წარმოდგენილი. მაგრამ ხელობის ამ დარგის უფრო ცხადსაყოფელად, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, რომ უფრო დამახასიათებელი სახიანი ქსოვილებისა დაარშიების ნიმუშები ძველი სურათების მიხედვით მოგვექსოვინებინა.

ქსოვილების ტექნიკური შესწავლა და საქსოვი იარაღის, ისევე, როგორც ლეზვის წესების განხილვა - შეფასება დოქტ. - ინჟინ. ვალერიან ახვლედიანს აქვს დავალებული.

ამავე გზით და მსგავსივე წყაროების მიხედვით მაშინდელი ავეჯის შესასწავლად და

წარმოსადგენადაც სწარმოებს მუშაობა და გამოფენის მომავალი დამთვალეობები ავეჯეულობის არა ერთს საყურადღებო ნიმუშის სურათს ნახავს. აქაც, თუ დრო და გარემოება ხელს შეგვიწყობს, ძველი ნახატების მიხედვით ავეჯის გაკეთებინებასაც ვფიქრობ.

მაშინდელი ჭურჭლეულის გასათვალისწინებლად და გამოსაფენად თითო - ოროლა გადარჩენილი ძველი ჭურჭელიც მოიპოვება. ამას გარდა, ნაქალაქარი დმანისის შარშანდელმა არქეოლოგიურმა განათხარმაც მაშინდელი თიხის მოხატულ - მოჭიქულიცა და ჩვეულებრივი ჭურჭლეულის რამდენიმე მთლიანი ცალი და ნატეხების დიდძალი მასალაც შეგვძინა. მათგან სხვა ქვეყნებიდან შემოტანილიც და ადგილობრივიც არის. პირველად სწორედ აქ აღმოჩნდა ქართულ წარწერიანი მე - 10 — 13 ს. ს. ჭურჭლის ნატეხებიც. მთელი ეს უხვი მასალა უკვე გასუფთავებულია და ამჟამად ზოგი მათგანის ნატეხების შეკოწიწება სწარმოებს ჭურჭლის მთლიანობის აღსადგენად. შარშანდელი არქეოლოგიური კვლევა - ძიების შედეგი უფლებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ ზაფხულში არქეოლოგიური თხრა იმდროინდელი მეჭურჭლეობის წარმოსადგენად კიდევ ბევრს საინტერესო ნიმუშსა და მასალას შეგვძენს, რომელიც, რასაკვირველია, დაუყონებლივ უპირველესად გამოფენისათვის იქნება გამოყენებული. ამავე დროს ჯეროვანი ყურადღება კედლის მხატვრობაში, ხელნაწერებსა და ჭედვითი ხელოვნების ძეგლებში დაცულს ჭურჭლეულის გამოხატულებასაც აქვს მიქცეული და გადმოღებული ჭურჭლეულის მაშინდელი მარაგის ნაირნაირობის მთლიანად წარმოდგენის მიზნით ნახატები იქიდანაც გვაქვს.

ჭურჭლეულის ყოველმხივ შესწავლა უფროს მეცნიერ თანამშრომელს ლ. მუსხელიშვილს აქვს მინდობილი, ხოლო ტექნოლო-

გიური საკითხების კონსულტაცია ინჟ. ფიცხელაურს.

11 — 13 ს. ს. საქართველოს ეკონომიკის გასათვალისწინებლად გამოსადეგი სასოფლო მეურნეობის მაშინდელი ნაწარმოები რომ გადარჩენილი იყოს, ამის დამადასტურებელი ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება და მომავალშიაც ამის დიდი მოლოდინი ჩვენი ჰავისა და ნიადაგის პირობებში მაინცა და მაინც არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ დანაკლისის ანაზღაურება, ნაწილობრივ მაინც, შემდეგი გზით შეიძლება. წერილობითი წყაროების საშუალებით გამორკვეული გვაქვს ჭურჭლეულის სად რა ჯიშ - სახესხვაობა იყო მაშინდელს საქართველოს მემინდვრობაში გავრცელებული, ისევე, როგორც უკვე ვიცით, იმდროინდელი მევენახეობის საუკეთესო ვაზის ჯიშები ორ ათეულზე მეტი მაინც, რომელთაგან ზოგიერთმა ჩვენს დრომდისაც კი მოაღწია. გამოფენის დამთვალეობებს რომ სასოფლო მეურნეობის ამ დარგების მაშინდელი დონის ნაწილობრივ გათვალისწინების საშუალება ჰქონდეს, სათანადო სპეციალისტებს დაევალოთ (პროფ. ლ. დეკაპრილევიჩისა და დოც. ვ. მენაბდეს) საქართველოს თანამედროვე მეურნეობაში იმდროინდელი კულტურის შერჩენილი წარმომადგენლების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა, მათი ნიმუშების თავთავის სახით და მარცვლებად შეგროვება და საგამოფენოდ მომზადება. ამის წყალობით უკვე გამოირკვა, თუ რას წარმოადგენს ის ქრთილი, რომელიც იმდროინდელს წყაროებში ხშირად გვხვდება, და რა იყო სახელდობრ ის უმდარესი მარცვლეული, რომელიც შ. რუსთაველს აქვს თავის უკვდავ თხზულებაში შეტანილი: „მე მარგალიტი მოგეცი, შენ ქვრიმა დაგიტესია“. ამ მარცვლეულობის გამოფენილ ნიმუშებთან ერთად ექსპერიმენტალური გამოკვლევით მოპოვებული ცნობებიც იქნება აღნიშნული თვითეული მათგა-

ნის სამეურნეო თვისებების შესახებ.

იმდროინდელი მევენახეობის დონის გასათვალისწინებლად გამოფენილი იქნება მაშინდელი საუკეთესო ვაზ - ყურძნის დღევანდლამდე შერჩენილი ჯიშების ლერწი, ფოთლები და შესაფერი ნივთიერებიდან ხელოვნურად გაკეთებული მტევნებიც. აღნიშნული იქნება სათანადო სპეციალისტის ამპელოლოგის პროფ. ს. ჩოლოყაშვილის ექსპერიმენტულს გამოკვლევაზე დამყარებული ზედმიწევნითი ცნობებიც ამ ყურძნის თვითეული ჯიშის ყველა სამეურნეო თვისებაზე.

შინაური ცხოველების მომშენებლობასაც საქართველოს ეკონომიკაში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ არ შეიძლებოდა ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება არ მიჰქცეოდა. თუნდაც სხვა ცხოველებისთვისაც თავი დაენებებინა ადამიანს, ცხვრისა და ცხენის პრობლემის მიტოვება ხომ არ შეიძლებოდა. ძველი სურათების მიხედვით გამორკვეული მაქვს, რომ თავდაპირველად საქართველოში კუდიანი ცხვრის ჯიში ყოფილა გავრცელებული. ჯერ კიდევ ბატონიშვილი ვახუშტის დროსაც ეს ჯიში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც-კი ყოფილა გავრცელებული. 19 — 20 ს. ს. კუდიანი ცხვარი აღმ. საქართველოში უკვე აღარა სჩანს და აქ მთლიანად ე. წ. თუშური ცხვრის ცხიმ - კუდიანი ცხვრის თავდაპირველი ჯიშია გაბატონებული, ძველი საქართველოს კუდიანი ცხვრის თავდაპირველი ჯიში კი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში-ღა არის შერჩენილი. ამ ორი ჯიშის სადაურობისა და გაჩენის ხანის პრობლემები საქართველოს ეკონომიური ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია. თუ კუდიანი ცხვარი ქართული მეურნეობის კუთვნილებად უხსოვარ დროიდანაა ქცეული და ამიტომ ამ ჯიშის გაჩენის საკითხს შ. რუსთაველის ხანასთან არავითარი კავშირი არა აქვს, სამაგიეროდ ცხვრის ცხიმ - კუდიანი, ე. წ. თუშური ჯი-

შის საქართველოში გაჩენა უშუალოდ სწორედ ამ ხანასთან არის დაკავშირებული. 12 ს. მეორე ნახევრის ერთს ქართულ ხელნაწერში დაცული ნახატის მიხედვით გამორკვეული მაქვს, რომ ამ დროს საქართველოში ცხიმ - კუდიანი ცხვრის ჯიში უკვე ცნობილი ყოფილა და მოიპოვებოდა. მაშასადამე, ქართ. მეცხოველეობის მეურნეობაში ამ მხრივ დიდი ცვლილება მომხდარა. ცხადია, ვისაც საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკის წარმოდგენა სურს, ქართველი ხალხის მეურნეობისათვის ამ თვალსაჩინო ცვლილების ნამდვილი ღირებულება გამორკვეული უნდა ჰქონდეს.

თუშურ ცხვარს წველაც კარგი აქვს, მისი თუშურ ცხვარს წველაც კარგი აქვს, მისი ხორციც გემრიელია და მატყლსაც ურიგოს არ იძლევა. კუდიან ცხვართან შედარებით, ის უფრო მოზრდილიც არის. „თუშური ცხვარის“ ჯიში ზოოტექნიკურად ასე თუ ისე შესწავლილია. პირიქით, სრულებით შესწავლილი არ იყო საქართველოს თავდაპირველი ჯიში, კუდიანი ცხვარი. ვიცით მხოლოდ, რომ ტანით მომცრო და მკლეა, არც წველა უვარგა და არც ხორცი აქვს თუშისებრ გემრიელი. სამაგიეროდ კუდიანი ცხვარი თუშურზე უფრო ნაყოფიერია, ოადგან წელიწადში ორ-ორ კრავს იგებს ხოლმე და მის მატყლსაც ნაზი ბეწვი ურევია. ცხადია, მარტო ასეთი გარეგნული დახასიათებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. თუ საქართველოს მეურნეობაში 12 ს. მომხდარი ცვლილების ღირებულების ზედმიწევნითი შეფასება გვწადიან, ე. წ. „იმერული“ ე. ი. კუდიანი ცხვრის ჯიშიც მეცნიერულად, ზოოტექნიკურად ყოველმხრივ უნდა გვყავდეს შესწავლილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, რომ „თუშური“ და „იმერული“ ცხვრის ჯიშების შედარებითი შესწავლით 12 ს. საქართველოს ეკონომიკაში მომხდარი ცვლილების სამეურნეო მნიშვნელობა შეუმცდარად შეგვეფასებინა.

უძველესი დროიდანვე ქართველთა ტო-





მები საუკეთესო ცხენებითაც იყვნენ ცნობილნი, შემდეგშიც ქართული ცხენის სახელი ისეთ შორეულ ქვეყანაშიც კი იყო განთქმული, როგორც ძველი რუსეთი იყო. ამისდა მიუხედავად ჩვენებური ცხენი დღევანდლამდის მეცნიერულად შესწავლილი არ იყო. შორეული წარსულიდან გადარჩენილი გვაქვს შიომღვიმეს მონასტრის ძველი ქვის კანკელის 11 — 12 ს. ს. ბარელიეფი, რომელზედაც ცხენოსანი არის გამოქანდაკებული. იქ მოყვანილი ცხენი მოკლე ტანიანია, მას ლამაზი მალალი კისერი და თავი აქვს, თანაც კოხტა, ნაკვირვან ჯიშთან ცხენად მოსჩანს; მაშინდელი ქართული ცხენის ჯიშის შესაფასებლად რასაკვირველია, უნდა გამორკვეული ყოფილიყო, თუ თანამედროვე საქართველოში შერჩენილი ცხენი რა ჯიშია და მიაგავს თუ არა იგი თავისი ტანის პროპორციითა და ნაკვთებით ცოტად მაინც 11 — 12 ს. საქართველოში გავრცელებულს ცხენის ჯიშს.

ამნაირად ამ შემთხვევაშიც უნდა გამორკვეულიყო, გადარჩენილია თუ არა ის ჯიში, რომელიც საქართველოს წარსულში ჰყოლია, თუ ის გადაჯიშდა ან ეგების გადაშენდა და უკვალოდ გაჰქრა კიდევ? ამ საკითხის გამორკვევაც, რასაკვირველია, მხოლოდ ზოოტექნიკური შესწავლის გზით შეიძლება.

ამგვარად, 11 — 12 ს. საქართველოს მესაქონლეობის სწორი სურათის წარმოსადგენად ჩვენს თანამედროვე მესაქონლეობაში წარსულიდან შერჩენილი შინაური ცხოველების შესწავლა იყო საჭირო და მეც ამიტომ პროფ. ილ. ჯანდიერს დავავალე ამ ამოცანის გადაჭრა თავისი თანამშრომლებითურთ ეკისრა. თუმცა საჭირო თანხების უქონლობისა და დროის სიმციროს გამო, მთელი ამ პრობლემის სასურველი სიღრმე - სიგანით გაშუქება შეუძლებელი შეიქმნა, მაგრამ ორი ზემოაღნიშნული საკითხისათვის აუცილებლად საჭირო ცნობები მაინც გვექნება. სასოფლო მეურნეობის ინტენსიური

წარმოება და კულტურული ყოფაცხოვრების მალალი დონე უწყალსადენოდ და უსარწყავარხებოდ წარმოუდგენელია. 12 ს. ამ დარგს საქართველოში ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი. თამარის ბრძანებით ისეთი დიდი არხები იყო გამოყვანილი, როგორც ალაზნისა და სამგორისა, შიომღვიმეს ორი წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდგომ ანტონ მწიგნობართ - უხუცესმა და ვაზირთა უპირველესმა სხალტბადან გამოტანილი წყალსადენი გაუკეთა. სხვაც ბევრია ამის მსგავსი. გამოფენაზე ალაზნის არხის გეგმა, ნახაზები და ფოტოსურათებიც იქნება წარმოდგენილი, შიომღვიმის წყალსადენის ტექნიკური თვალსაზრისით შესწავლის შედეგად აღიბეჭდება და წყალსადენების თვით მიღები, წყალსაცავი და სხვა მოწყობილობაც გვექნება. ამ საკითხის შესწავლა - გაშუქება ინჟ. დ. ლოსაბერიძეს აქვს დავალებული.

ცნობილია, რომ ვაჭრობა - მრეწველობისა და ხელობა - ხელოსნობის კერა უმთავრესად ქალაქებში იყო. ამიტომაც მაშინდელი საქართველოს ქალაქის გეგმისა და ყოფაცხოვრების ცოდნა და წარმოდგენა იყო საჭირო. რაკი საქართველოს ჩვენს დრომდის არსებული ძველი ქალაქებიდან არც ერთს ძველი საქალაქო კულტურის აღარავითარი ძეგლი შერჩენილი არა აქვს, ამის გამო ნაქალაქარი დმანისის არქეოლოგიურ გათხრას შევუდექით. იმედი გვქონდა, იქ ქალაქის იმდროინდელ გეგმას მაინც გამოვარკვევდით, მოწყობილობას ვნახავდით და საყოფაცხოვრებო საგნებს ვიპოვიდით. წარსული წლის თხრამ, რომელიც დოც. ლ. მუსხელიშვილის კონსულტაციით სწარმოებდა, ეს მოლოდინი სრულებით გაამართლა და მომავალი ზაფხულიც უეჭველია იმედს არ გაგვიცრუებს, გამოფენისათვის გამოსადეგ ნივთებს უხვად შეგვძენს, რომელნიც მაშინდელი საქალაქო კულტურის წარმოსადგენად გამოყენებული გვექნება.

განსაკუთრებული ყურადღება მიმოსვლი-  
სა და სავაჭრო გზებსაც აქვს მიქცეული და  
ამ საკითხის შესწავლა წყაროების მიხედვით  
და გზათა მაწინდელი ქსელის რუკისათვის  
მასალების დამზადება დოც. ნ. ბერძენიშ-  
ვილს აქვს დავალებული. საგანგებოდ შესწა-  
ვლილი იქნება თამარ მეფის ბრძანებით გა-  
ყვანილი პირდაპირი გზა თბილისიდან ჯა-  
ვახეთში და გადასავალზე აგებული ფუნდუ-  
კები (სასტუმროები). გზების საერთო რუკა-  
ცა და თბილის - ჯავახეთის გზის აგებმა -  
გამოკვლევის შედეგიც გამოფენაზე იქნება  
წარმოდგენილი.

უეჭველია, მომავალი გამოფენის ერთი სა-  
ინტერესო ექსპონატთაგანი 11 — 12 ს. თლი-  
ლი ქვით ნაშენი ქართული ასომთავრული  
დიდტანიანი წარწერით შემკული ხიდის ფო-  
ტო - სურათები, განაზომები, გეგმა და აკვა-  
რელით ნახატი საერთო შესახედაობა იქნება,  
რომელთა სათანადო სპეციალისტების მიერ  
დამზადება - შესწავლის ხელმძღვანელობა  
პროფ. გ. ჩუბინაშვილმა იკისრა.

საქართველოს იმდროინდელი შინაგანი და  
საგარეო ვაჭრობის ობიექტებზე ცნობებს გა-  
რდა, გამოფენაზე დამთვალიერებელს 1 —  
13 ს. ს. საქართველოში გავრცელებული და  
ადგილობრივი და უცხო ფულების მთელი  
კოლექციაც ექნება თვალწინ და ამას გარდა,  
საქართველოში ნაპოვნი ფულების საგანძუ-  
რების რუკა მნახველს ფულების გავრცელე-  
ბის არისა და ინტენსივობის გათვალისწინე-  
ბის საუშალებას მისცემს. ნუმისმატიკური  
კოლექციის შერჩევა, ფულის გავრცელების  
რუკის შედგენა და ამ საკითხზე მონოგრა-  
ფიული ნაშრომის დაწერა დოც. თამარ ლო-  
მოურს აქვს მინდობილი.

დასასრულ, იმდროინდელი აბანოების გე-  
გმის ნახაზებისა და ფოტოსურათების ნახვათ  
გამოფენის დამთვალიერებელს ადამიანის  
სხეულის სისუფთავეზე მზრუნველობის მა-

შინდელი საშუალების გათვალისწინებაც შე-  
ეძლება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სხვა  
და სხვა ხელობის მწიგნობრობის, ქედვითი,  
მექურჭლეობისა და სხვა ნიმუშებიც. ქართ.  
ქედვითს ხელოვნებაზე გამოკვლევას პროფ.  
გ. ჩუბინაშვილი ამზადებს. სხვათა შორის,  
დამთვალიერებელს საშუალება ექნება ნახოს  
წიგნის შემზადების პროცესის სხვა და სხვა  
მხარე, აკინძვის წესი, დაკაზმვა და ყდების  
საყურადღებო ნიმუშები.

ქართული კულტურის ზრდა, რასაკვირვე-  
ლია, ამ ხნის მეტყველებასაც უნდა ჰქონდეს  
აღბეჭდილი და ვისაც მისი ნამდვილი ღირე-  
ბულების გათვალისწინება სწადიან, უნდა  
ისიც იცოდეს, თუ რა ლექსიკური მარაგი  
ჰქონდა ქართულ მწერლობას მე - 11 საუკუ-  
ნემდე და რა შესძინა 11 — 12 ს. ს. შემოქმე-  
დებითა კულტურულმა მუშაობამ. ამ მიზ-  
ნით შ. რუსთაველის მუზეუმში ქართული  
გონებრივი და მატერიალური კულტურის

სატერმინოლოგიო რეალიების ისტორი-  
ული ლექსიკონის შედგენას შევუდექით  
წერილობითი ძეგლებისა და სხვა წყა-  
როების მიხედვით. თვითეული სიტყვა თუ  
გამონათქვამი ცალკე ქართაკზეა. წყაროები-  
დან ამონაწერებითურთ მოყვანილი ნათარგ-  
მნი თხზულებების მიხედვით, ყოველი მათ-  
განის მნიშვნელობის ბერძნული, ლათინური,  
სომხური და სპარსული შესატყვისობაც იქ-  
ნება გამორკვეული და ყველა ის ცვლილე-  
ბაც, რომელიც თვითეულ მათგანს დროთა  
განმავლობაში დაეტყო, აღინიშნება. გეგმით  
ლექსიკონი დასურათებული უნდა იყოს თვით  
რეალიების ნახატებითაც. ამჟამად უკვე  
111958 ქართაკია დამზადებული. მუშაობა  
გრძელდება. ასეთი ლექსიკონის შედგენა,  
სხვათა შორის, იმიტომაც არის აუცილებ-  
ლად საჭირო, რომ მატერიალური კულტუ-  
რის ნივთიერი ძეგლების ცოდნასთან ერთად

ისიც ზედმიწევნით გამორკვეულ უნდა გვქონდეს, თუ რა სახელი ეწოდებოდა თვითეულ მათგანს.

როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, სამუაშო ბევრიც და რთულიც არის. ამ, ზოგადად მოთხრობილი გეგმის მთლიანად განხორციელებისათვის თანამშრომელთა დიდი რაოდენობაც, სახსრებიც და ხელშემწყობი პირობებიც არის საჭირო. პარტიული და მთავრობის ორგანოების მხრივ შ. რუსთაველის მუზეუმს და გამოფენას დიდი ყურადღება

დარწმუნებული ვარ, წელს წარსულთან იყო.

ექცევა. წარსულ წელს საკმაო სახსრებიც შედარებით უფრო მეტი დახმარება გვექნება, რათა ამ დიდი დღესასწაულისათვის ღირსეულად მომზადებული წავუდგეთ ჩვენს ქვეყანასაც და მოწვეულ სტუმრებსაც.

პროფ. ივანე ჯავახიშვილი

„კომუნისტი“, 9 მარტი, 1937, ტფილისი.

## თეიმურაზ პირველი და 'მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“

პოემისათვის

### 1

„ღვაწლ მრავალი და სამგზის სანატრელი დედათა შორის, ახოვანი დედოფალი და მოწამე, ყოვლად ქებული ქეთევან“ — ამ სიტყვებით იხსენიებს კახთა მეფის, თეიმურაზ პირველის დედას მეთვრამეტე საუკუნეში შედგენილი ერთი ქართული ქრონიკა. მართლაც, აშოთან მუხრან - ბატონის ასული ქართველ გმირთა რიცხვს ეკუთვნის. მისი წამება კარგად არის ცნობილი; აღწერილია არა ერთხელ და გამოცხადებულიც მოიპოვა საეკლესიო და მორწმუნეთა წრეებში აღმოსავლეთსა და დასავლეთშიაც. „ერთი ჩვენი პოეტისა არ იყოს, ამბობს მისი თანამდროვე პიეტრო დელლა ვალლე, გამოჩენილი იტალიელი მოგზაური, აქებს რა დედოფლის კეთილშობილ პიროვ-

ნებას და მაღალ - ღირსებას, „ქეთევანზე ან პოემა ან და ისტორია დასაწერი იქნებოდა\*). ხოლო არცა ვარ მოცლილი რომ ისე ვსთქვა, როგორც შეეფერება საგნის სიღიადეს, და ვერც ჩემი ბეჭები ესოდენ მძიმე ტვირთს აიტანდენ.“ მისმა სიმძიმემ ქეთევანის შვილი არ შეაშინა.

თეიმურაზ პირველმა თავის დედის წამებას განსაკუთრებული პოემა უძღვნა. ეს იქნებოდა დაახლოვებით 1628 წ. ხოლო დაბეჭდილია პირველად 1928 წ., ე. ი. სამი საუკუნის დაგვიანებით; ხელნაწერი კი წინათაც იცოდენ ზოგიერთებმა. ეს ლექსად დაწერილი მარტვილობაა. მას არც აღფრთოვანება აკლია, არც მოხდენილი ოსტატობა. მაგრამ მგოსანი წამებულის ღვიძლი შვილია. ეს წამება ხომ მისთვისაც საზარელი განცდა იქნებოდა. ამისათვის, პოემაში ქეთევანის

\*) ქეთევანის წამება დამუშავებულია გერმანელი დრამატურგის ანდრია გრიფიუსის ნაწარმოებში: კათარინა ფონ გეორგიენ (1658)

„ღვაწლთან“ ერთად თეიმურაზის პირადი გულის კვნესაც და ტკივილი უხვი სიტყვიერებით იხატება.

კიდევ მეტი; დედოფალი და თეიმურაზის ორი შვილი, ალექსანდრე და ლევან, შაჰ - აბაზს 1614 წ. მძევლად და ტყვედ იმიტომ წაეყვანა, რომ თვითონ თეიმურაზმა ირჩია მასთან არ მისულიყო. იმ დროინდელ სპარსეთში მძევლად წაყვანილნი თავითგან განწირულნი იყვნენ: ისეთს პოლიტიკას მისდევდა თეიმურაზი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებულ ხანგრძლივ და საქართველოსათვის მრავალნაირად სახიფათო ბრძოლაში. მაშასადამე, ხომ თვითონაც მათი, თუნდაც უნებური, დამღუპველი ყოფილა! ამის შეგნებას მეფე - ალიოგრაფი არ ამჟღავნებს. მას სუყველაფრის თქმა არ შეუძლია და არც უნდა, მაგრამ სხვა რა იქნებოდა მისი უაღრესი სინანულის მიზეზი — იმ მწარე სინანულისა, აქ რომ მის მწუხარებას ისე აზვიადებს? მართლაც, ძნელი, რთული, არა ჩვეულებრივი რამ იყო ამ პოემის დაწერა! აქ მელექსე რითმებს ეძებს, შვილი წამებულ დედას შესტირის, და მეფე - პოლიტიკოსი იმის ცდაშია, რომ მომხდარ ამბავთა მოთხრობა შეამოკლოს

15, 1 - 2:

რალას ვაგრძელებ, გაგზავნეს ქვეყანას შირაზისასა,

ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა მზისასა...

ზოგიერთი მოგონება მას ალბად აწუხებს. კახეთის აოხრების ამბავს რომ იხსენიებს, თითონ რასა შერებოდა, ამაზე სდუმს... შაჰ - აბაზს (დედოფალი)

12.

ხელ შეპყრობილი დაეგდო იგ განჯას პარია,

სადა ყვა ხელმწიფე - შვილი, ანუ მხლებელთა ჯარია,

რომ მის მცველზედა ეხმარა თავისა საქვეთარია,

ბორკილიდალმე აეხსნა იგ ყოვლთა საქვებარია?!

სადა ყვა ხელმწიფე შვილიო? პასუხი მარტივია: თეიმურაზი მაშინ იმერეთში დაიმალა.

თვით 1624 წ. მომხდარ წამებაზე იგი სჩივის:

67:

ვამე იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი წინანი!

მკერდით ზურგამდინ გაავლეს გახურვებულნი რკინანი,

მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,

მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი.

თუ კი მის დედას „გახურვებული რკინანი“ და მის შვილებს ქირურგის დანა ერგო წილად (იგინი დაასაქურისეს შირაზშივე 1618 წ., ერთი მაშინვე მოკვდა, მეორემ დიდ ხანს იცოცხლა), ესეც შედეგად ჩაითვლება მისი ოსმალეთთან დაკავშირებისა და მეგობრობისა ისეთს დროს, როცა ოსმალებმა კანალამ ხელმეორედ თავრიზ - არდაველი დაიპყრეს. კერძოდ 1624 წ. იგი სტუმარი იყო ოსმალეთისა გონიაში, შაჰ - აბაზისათვის მიულწეველი. ამ სახით გამოთქმული თეიმურაზის სინანული აქ ცოტა ნაძალადევია და ხელოვნური. მთელ პოემაზე ეს არ ითქმის. წამება აღწერილია დიდი დრამატუზმით და ძალით, „ახოვანი“ დედოფლის და მის სუსტ მხლებელთა დაპირისპირებით

59, 2-3:

შეიპყრეს ხელთა მნათობი იგი უებრო სახია,

წინ დაუთათრეს მხლებელნი, ვერვინ თქვა სიტყვა მჭახია.

ქრისტიანული პოეზიის მაღალი ნიმუ-

შია ქეთევანის უკანასკნელი ლოცვა. თეიმურაზი გულწრფელი და ნაკითხი მართლმადიდებელია, და მისი რწმენის სიმხურვალე და წერის ნიჭი ისეთი ძნელი თემის დამუშავებასაც მას უადვილებენ.

40:

უცხოდ რამ შევშინებულვარ მძლავრთა  
ჰაერის მცველთაგან\*)

ჩემისა აღსასრულისა ძნელისა სატანჯველ-  
თაგან,

ეჰა, გაბრიელ მთავარო, ნუ გამიშორებ  
ხელთაგან,  
წამებულნო და წმინდანო, გამომიხსენით  
ბნელთაგან,

41. 1-2:

ჰე მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდ-  
გომასა,

ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ  
მარჯვენით დგომასა...

სინანულისა და ცოდვათა აღსარებაშიც  
მჭერმეტყველია თეიმურაზი :

80:

ოდესმე წარვდგე შიშველი, ქედ დახრით  
დაყმუნებული,

ოდიღან ცოდვით მოსილი, არ მადლით  
განბრწყინებული,

ორგნითვე ხელ - ფერხ შეკრული, გარესკ-  
ნელ წარჩინებული,

მიმელის მატლი უძილო და ცეცხლი აღ-  
ტყინებული...

პოემის ზოგადი ელფერი, ბევრ ადგილას,  
რასაკვირველია, სარწმუნოებრივია და მწიგ-

ნობრული; და პოეტის მწიგნობრობაც ხომ  
ორგვარი იყო, ქართულ - ბერძნული და ქარ-  
თულ - სპარსული. აქ „ემპლასტროს“ - ასაც  
წაიკითხვათ (მალამოა) და, თვით წამების  
აღწერაში, ისეთს რამესაცა:

68, 1-2:

ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა  
რკინანი.

ქვე წაიარეს, გააპეს ბროლი, ლალი და  
მინანი..

ასეთი საექვო გემოვნების ლექსი იშვიათ  
თია ამ ნაწარმოებში. მას უფრო ახასიათებს  
გრძნობათა ძალა, აღელვებული რიტორო-  
ბაც.

ორგვარი — საერო და სასულიერო - მწიგ-  
ნობრობის თავისებური ნაყოფია ისეთი შაი-  
რებიც:

75, 3-4:

მას სიკვდილი ვერ მოკლევდა, ღვთის  
ტრფიალსა მინა - სათსა,

ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა  
კიბისასა.

აქ მინა - სათი რუსთველის და სხვათა გად-  
მოცემას ეკუთვნის, კიბე - კი იმ იოვანე სი-  
ნელის „სამოთხის კიბესა“, რომელიც იქვე  
(82, 4) იხსენიება

თვარე მას უხმდეს მეტყველნი, თვით იო-  
ვანე სინელი..

ამ მე - 6 საუკ. მამას ხომ მეტი - სახელიც  
ჰქონდა — კლიმაკოსი (კლიმაქს — კიბე).

პოემაზე ზოგად საუბარს აქ არ გავაგრძე-  
ლებ. მისი ნაწყვეტები კიდევ მოსაყვანი იქ-  
ნებიან; დაბეჭდილია ისე („ანთოლოგია“, წ.  
2., ტფილ. 1928), რომ 6000-ანი ტირაჟის  
მკითხველთათვის ძნელი გასაგებიც იქნებოდა.  
მასში ზედმეტი სტროფებიც მოიპოვებიან.  
თეიმურაზი თვითონ აცხადებს:

84. 1.- 4:

ვინცა ლექსი მოუმატოს მე არა ვარ მომ-  
დურავი...

\*) „ჰაერის - მცველნი“ ს. ორბელი-  
ანის განმარტებით, „არიან ეშმაკნი“, რო-  
მელნიც „ჰაერთა შინა დაშთენ“, როდესაც  
დანარჩენები „ჯოჯოხეთად შთახდენ“; ძვე-  
ლი დემონოლოგიის ანუ ეშმაკთ - მცოდნე-  
ობის ამგვარი წარმოდგენა მე - 17 საუკუნე-  
შიაც ცოცხალი იყო.

მე ოთხმოცი ლექსი მითქვამს, სულ ეს არი  
ბოლო თავი.

აქ „ლექსი“ ალბათ ხანას, სტროფს ნიშ-  
ნავს, და თუ მან 80 „თქვა“, დაბეჭდილ 84-ში  
ოთხი ხომ დამატებულია. მაგალითად:

77.

ვით ითქმის ქება მეფისა ღვთივ დაცულ,  
დაფარულისა,  
აწ დაუმკვიდრა დოვლათი ეტლითგან არ  
ფარულისა,  
მას მიენიჭა უფლება ამ საწუთროსა სრუ-  
ლისა,  
მოშორება აქვს ვეშაპსა ღრუბელთა შოა-  
რულისა...

ამას ხომ თავის თავზე თეიმურაზი არ იტ-  
ყოდა. აქ აშკარად იგულისხმება მისი საქარ-  
თველოში დაბრუნება და სამეფოს დაპყრობა  
1625 წ., როცა შაჰ - აბაზი („ვეშაპი“) „მო-  
შორებით“ იყო. ეს სხვისი ნათქვამია და „მო-  
უმატეს“.

პოემის მნიშვნელობა ქართული მწერლო-  
ბის ისტორიაში უდავოა. ეს ალბათ პირველი  
მაგალითია ცოცხალი ისტორიული თემის, და  
არა ჩვეულებრივი ზღაპრულ - ეპიკური მა-  
სალის პოეტური დამუშავებისა; და ეს თეი-  
მურაზის უეჭველი და დიდი დამსახურებაა.

შემდეგი იქნება

ზ. ავალიშვილი

## პრესის მიმოხილვა

### ხვრეტა ტფილისში

პრესის მიმოხილვის წერა ჩვენს კუროთხე-  
ულ ქართულ ემიგრაციაში ძნელი საქმეა. სა-  
ქმე გიხდება მუდამ ისეთ ჟურნალ-გაზეთებთან  
და პუბლიცისტებთან, ვისთვისაც ორჯერ  
ორი ჰა... ხუთი არ არის, მაგრამ, „მაინცა და  
მაინც“ — არც ოთხია!

ასეთი ლოდიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარ-  
მოადგენს „დამოუკიდებელ საქართველოს“  
უკანასკნელი მეთაური — „დახვრეტები სა-  
ქართველოში“ (ამ შესანიშნავ ქართულის შე-  
სახებ იხილე ცალკე ჩვენს ჟურნალში).

ტფილისში ბოლშევიკებმა ... ბოლშევიკე-  
ბი დახვრიტეს! კაცის ხვრეტა ადვილი საქმე  
არ არის. მაგრამ ვის გაუჯავრდე, როცა კა-  
ცის ხვრეტა მათი გამოგონილია. განსხვავება  
მხოლოდ ის არის, რომ ბოლშევიკები აქამ-  
დის ქართველებს ხვრეტავდნენ. ეხლა რო-  
გორღაც ღმერთი უწყრებათ და თავისიანებს  
მიჰყვეს ხელი. ამ მოვლენის შესახებ ბევრი  
იმ აზრისა არის, რომ ბოლშევიკურ დასას-

რულის დასაწყისი სწორედ ეს არის. ყველას  
ესმის, რომ თუ კი სტალინმა მართლა ყველა  
ბოლშევიკი დახვრიტა, თითონ რომ სულ უვ-  
ნებელი დარჩეს — ეს მაინც ბოლშევიზმი  
ალარ იქნება.

მაგრამ როცა ამის შესახებ „დამოუკიდე-  
ბელი საქართველოს“ მეთაურს კითხულობ,  
ალარ იცი, რა არ მოსწონს ჩვენ დიდებულ მა-  
მულიშვილს ბ აკაკი ჩხენკელს: ის რომ ბოლ-  
შევიკმა ბოლშევიკი დახვრიტა, თუ ის რომ  
ბოლშევიკებმა მისი ნაცნობი ქართველები  
დახვრიტას?!

„რას ფიქრობს ქართველი ერი, როგორია  
მისი მსჯავრი დახვრეტილებზე?“ — კითხუ-  
ლობს გაზეთი და პასუხსაც ეშსანიშნავს იძ-  
ლევა. — მისი ზიზღი და რისხვა მოღალატე-  
თა მიმართ „განკითხვის დღეს“ გარდაუვა-  
ლია. მაგრამ ისიც არ მოელოდა (ვინ — ქარ-  
თველი ერი თუ დახვრეტილები? „კავკ“.)  
უთუოდ ასეთ ბოლოს! დაბეჯითებით შეიძ-  
ლება ითქვას, რომ ქართველ ერს არ შეეძ-  
ლო, რაც უნდა ცდილიყო, (კიდევ: ვინ —

დახვრეტილი, ქართველი ერი თუ ბოლშევიკი' „კავკ“.) ასე სასტიკად დაესაჯა თავისი გამცემნი!“-ო

ამ რიგად, დახვრეტილები „მოლალატე“ და „გამცემნი“ ყოფილან, ვილაცა მესამე პირმა, რალაცა სხვა საქმის გამო ეს „მოლალატენი“ და „გამცემნი“ დახვრიტა. „დამოუკიდებელი საქართველო“ გლოვის კარავს იდგამს და გვეუბნება: სამძიმარი მომახსენეთო...

გაზეთი გაწიწმატებულია. როგორ გაბედეს ბოლშევიკებმა და რამოენიმე თვისი ბოლშევიკი გაუსამართლებლად დახვრიტესო! მაგრამ განა რომელიმე ქართველი დახვრიტეს ბოლშევიკებმა გასამართლებულად და სამართლიანად? ეტყობა, „დამოუკიდებელი საქართველოს“ საბუთი აქვს იფიქროს, რომ ასე გაუსამართლებლად დახვრეტილმა ბოლშევიკებმა თან რალაც დიდი „ეროვნული“ საიდუმლო წაიღეს?!

ველით როდის შეგვატყობინებს გაზეთი თავის ამ გლოვის ნამდვილ მიზეზს?

### სომხური პრესის ლაშქრობა.

იგივე „დამოუკიდებელი საქართველო“ დიდი ხანია სომხური პრესიდან წერილებს სთარგმნის. ქართველი მკითხველისათვის სასიამოვნო ამ წერილებში არაფერია. სომხური პრესა სისტემატიურად და მეთოდურად ქადაგობს თავის მკითხველებში, რომ თუ მისი მტერი ნომერი პირველი ოსმალეთია, მისი მტერი ნომერი მეორე — უსათუოდ საქართველოა. მაგრამ ვერ იქმნა და სომხური პრესის ასეთ დემაგოგიას გაზეთმა ჯეროვანი პასუხი ვერ გასცა. გაზეთი მუდამ დინჯად აცხადებდა — ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკოთო. ამ „მოლაპარაკების“ ერთი ნიმუში, როგორც იყო, ამას წინად ვნახეთ. ეს იყო გაზეთის ბამბაზედ გორაობა. თავის „მოლაპარაკების“ მეორე ნიმუშს გაზეთი ეხლა იძლევა — და ისევ ბამბაზედ კოტრილობს.

სომხობა პატრიოტულად განწყობილი, შო-

ვინისტურად მომართული, დარაზმული, გამაგრებული და ჩასაფრებული იერიშით მოდის:

შესაძლებელია მარტო ქართულ ემიგრაციაზედ, შესაძლებელია მთელ საქართველოზედ, იქნება მთელ კავკასიაზედ, მის დამოუკიდებლობის და კონფედერაციის წინააღმდეგ! სომხის ერი ასე ფიქრებს, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრებს მისი პოლიტიკური მეთაურობა და ასე სწრთვნის თავის ერსაც.

ქართული „დიპლომატიის“ გაზეთი კი არხეინად სწერს:

„საერთოდ ცნობილია, რომ ერთ მთლიანად ნაკლებად სცდება. შეიძლება მისი ეს თუ ის ხელმძღვანელი ჯგუფი დაიბნეს, სწორი გზა დაკარგოს, მაგრამ ერი არასოდეს. ის მუდამ ეძებს და პოულობს გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან და ჩვენ გვწამს, სომხის ერმაც იპოვა ეს გზა“-ო.

როგორც ხედავთ გაზეთი იმასაც კი ვერა სწერს ხეირიანად: სომხის ერმა უკვე „იპოვა“ ეს გზა, თუ „იპოვის“? ხოლო რაც შეეხება იმას, რომ სომხის ერი თავის პოლიტიკურ მეთაურობას ზურგს შეაქცევს და — დამოუკიდებელი საქართველოს“ თანამშრომლებს შეუერთდება — ასეთი ფიქრი მხოლოდ მენშევიკურად გაზრდილ დიპლომატებს თუ შეუძლიანთ.



### ქართული

არ შეამოკლოს ქართული  
არა ქმნას სიტყვა - ძვირობა.  
შოთა

ქართულ ემიგრაციას მრავალი ჟურნალი გაზეთობა აქვს. თუ ყველა ჟურნალი და გაზეთი სისტემატიურად არ გამოდის, დრო გამოშვებით მაინც იბეჭდება. ამ რიგად ისინი თითქოს მუდმივად არსებობენ. მათი სახელე-

ბი ყველამ იცის. ჟურნალ - გაზეთების გარდა, ემიგრაციაში ხშირად ქართული წიგნიც გამოდის. ჟურნალ - გაზეთობა, მცირე გამოცემების გარდა, სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმართულებას ეკუთვნის. წიგნებიც ხან პოლიტიკური მიმართულებისა და ხან მეცნიერულ - ლიტერატურული შინაარსისანი არიან. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვეხებით არც მათ მიმართულებას, არც მათ შინაარსს. ეს პოლიტიკური აზროვნების და ლიტერატურულ - მეცნიერული კრიტიკის საქმეა. გვინტერესებს მხოლოდ და განსაკუთრებულად ქართული ენის სისწორე და სისუფთავე, რომელიც ემიგრაციაში დაბეჭდილ და გამოსულ წიგნის, ჟურნალის თუ გაზეთისთვის ერთნაირად საერთოდ სავალდებულო უნდა იყოს. ამ მხრით კი ქართული მართლ - წერა ემიგრაციაში ხშირად სასურველ დონეზედ ვერა დგას.

რა ენა წარბდეს,  
ერიც დაეცეს,

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას! —  
ამბობს გრიგოლ ორბელიანი.

ამაზედ სიტყვის გავრცელება ზედ მეტია. მწერლისთვის, მთავარი უნდა იყოს ჯერ სწორი წერა და მხოლოდ შემდეგ — მისი პირადი „მიმართულება“ და მისი თხზულების „შინაარსი“. მე მოწინავე იდეების კაცი ვარ და ჩიქორთულადაც შემოძლიან წერაო — დაბალი კულტურის კაცის აზროვნებაა. კიდევ უფრო დიდი დანაშაულია, როცა ეს ჩიქორთული ენა „ხალხის“ ენად საღდება. ეს „ხალხის“ ენაც მუდამ ერთია ერში და არა იმდენი რამდენიც ხეობა, ადგილი და მაზრა. მოკლედ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, არსებობს ერთი ქართული სამწერლო ენა და ქართველი მწერალი ამ ენით უნდა სწერდეს. როგორც მოქალაქეს არა აქვს უფლება კანონის უცოდინარობით იმართლოს თავი, ისე მწერალს არა აქვს უფლება სწორი წერის უცოდინარობით იმართლოს თავი.

ჩვენ იძულებული ვართ ჩვენს ჟურნალში ერთი სვეტი მუდამ ამ საკითხს დაუთმოთ და ჩვენ თანამოდმე ძწერლებს მიუთითოთ როგორ უნდა და როგორ არ უნდა ქართული წერა, როცა ამისი აშკარა საბუთი გვექნება. ჩვენ თითონაც დიდის მადლობით მივიღებთ სხვებისაგან ასეთ შენიშვნას. ჩვენ არა გვსურს, რომ ასეთი შენიშვნებით ვისიმე ღირსება დავამციროთ და ამას პოლემიკის ხასიათი მივცეთ. ენის სისწორის დაცვა დიდი კულტურული პრობლემაა, ხოლო ემიგრაციაში — პატრიოტულიც. ჩვენ აღარ გამოუდგებით ძველი შეცდომების აღწერას და იძულებული ვართ დაბალი ქართულის მხოლოდ მიმდინარე მაგალითები აღვწეროთ.

„ბრძოლის ხმა“, ნომ. 73, წერილი: „საბჭოთა რუსეთში“ — კ. გ. სწერს: „... დამცველების, თუ პრესის წარმომადგენლების დაუსწრებლათ წითელი ჯარის 8 საუკეთესო და გამოჩენილ გენერლებისადმი სიკვდილის განაჩენი გამოაქვთ“...

სწორი ქართული მოითხოვს ითქვას: რვა გენერალი და არა რვა გენერლები. რვა კაცი — რვა შაური — და არა რვა კაცები, რვა შაურები. ქართულში მრავლობითის მაჩვენებელი თვით რიცხვია, ამიტომ ქვემდებარე აღარ მრავლდება.

აგრეთვე, უნდა ითქვას: რვა გენერალისათვის სიკვდილის განაჩენი გამოაქვთ... და არა „რვა გენერლისადმი“. განაჩენი — ვისთვის? და არა ვისადმი...

იმავე წერილში ნახმარია „ვუფრო“ — უფრო - ს მაგიერ. შესაძლებელია კორექტორის ბრალი იყოს. მაგრამ რადგან ამ სიტყვას ალაგალად მართლა ასე ხმარობენ, ჩვენ ამასაც ხაზს ვსვამთ. მით უმეტეს, რომ იმავე ავტორს, წინა წერილებში ნახმარი აქვს: „შობა“ — შვრება - ს მაგიერ. თქმა არ უნდა, რომ მეტისმეტად დაბალი ქართული თქმაა.